№ 3023
პარასკევი,
10 მარტი

ცნობის ფურცელი

№ 3023
პარასკევი,
10 მარტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—60 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—15 კ., მეოთხე—10 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ჯ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუა-დღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქციაში არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе". ტელეფონი № 372

1906 წელს

„ცნობის ფურცელი" სურათებიანი დამატებით

გამოვა იმავე პროგრამით, ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და დიდი უქმეების შემდეგ. დაახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატი გადიდებული იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული მწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქაღალდი. ქაღალდი უკვე მოვიდა, ხოლო მანქანა გზაშია.

ფასი გაზეთისა:

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაგზავნით ერთის წლით 6 მან. ერთის თვით 50 კაპ.

საზღვარ-გარედ გაგზავნით ერთის წლით 11 მან. ერთის თვით 1 მან.

გაზეთის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ სურათებიანი დამატება

დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომლებისა, ხატვარი ოსკარ შმერლინგისა და გოგიაშვილისა, მხატვრები გრინევსკი, ბერიძე და როტტერი.

ადრესი: Тифлисъ, редакція „Цнобисъ Пурцели".

ნატალია თომას ასული ნანობაშვილისა შვილებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 11 მარტს, იქნება გადახდილი ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი

მ. იროდიონ ნანობაშვილის

სულის მოსახსენებლად დილის 10 საათზე დიდუბის ეკლესიაში. (1—103—1)

დილით ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში დილით

კვირას, 12 მარტს, 1906 წ., ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: გლ. სარ. ალექსი-მესხიშვილის საბენეფისოდ

შემოსავლიანი ადგილი

კომედია 5 მოქმედებად ოსტროვსკისა თარგ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარკარეთელი, ოლ. ლეჟავა, მ. მდივანი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, ვ. შალიკაშვილი, დ. ჩარკვიანი, ვ. ურუშაძე.

ადგილების ფასი ჩვეულებრივი. წარმოდგენა დაიწყება 1 საათზე, დღისით.

შეგირდებისათვის ადგილები განსაკუთრებით ბალკონის 3 და 4 იარ. 40 კაპ.

მზადდება წარმოსადგენად „პირველი მერცხალი", „ხალხი".

რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.

ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი,

ა. ი. იედიგაროვი, იწვევს ბორჩალოს თავადთა და აზნაურთ მობრძანდნენ ამა წლის 18 მარტს, დილის 11 საათზე, ქალაქ ტფილისს, თავ.-აზნ. დეპუტატების საკრებულოს სადგომში და თან წარმოადგინონ სათანადო დოკუმენტები ცენზის შესახებ (გამიჯვნის გეგმებით, ნასყიდობის აქტით და სხვა საბუთებით) მიწის მფლობელობის შესახებ), რათა შესწორდეს სიები მაზრის თავად-აზნაურთა, რომელთაც ხმის უფლება აქვთ მომავალ სათავად-აზნაურო მორიგ კრებაზე. (ნ. 3—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთა მიღება ყოველდღე, კვირეების გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი,
ა. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალთა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
მ. გ. ამეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისისა, ვენერიული და ქირურგიული ავადმყოფობანი.
ძ. ი. [illegible]: 12—1 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი.
ა. ჰ. ყარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ა. ი. ზარბინინა: 1½—2 ს. საბებიო და ქალთა ავადმყოფობანი.
ზ. ი. ბურგენოვი: 1—2 ს. ქალისა და საბებიო ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ა. მ. პუზინოვი: 5—6 ს. შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობანი და ყვავილის აცრა.
ნ. გ. აზიანცი: 6—7 ს. შინაგან ავადმყოფობანი.
ბ. ა. ნავასარდიანი: 7—7½ ს.

რჩევა-დარიგების ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისთვის მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана Тифлисъ, противъ памятника Воронцова. (წლ.)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში

მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.

შინიდან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი

მ. გ. ადაჯანოვი. 1—2 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ტყავის ავადმყოფობანი.
ი. ნ. მზიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი ელექტრონით წამლობა.
პ. ნ. დიმიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
ზ. ა. ტატიშოხოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.
მ. მ. ავეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
მ. ჰ. ძიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.
მ. რ. ოლჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.
პ. ა. ზიმერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. [illegible] სპეციალისტური განყოფილება [illegible] საზოგადოთ აქას და ცალკე [illegible]. (150—51)

ოზურგეთის ქალაქის თვითმმართველობა

იწვევს რა იმათ სიის შედგენას, რომელთაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო სათათბიროში, ამით აუწყებს ყველას შემდეგს: 1. განცხადება მიიღება და პირადად მოლაპარაკება შეიძლება იმ პირებთან, რომელთაც სურთ ისარგებლონ ზემოხსენებულ უფლებით ქ. ოზურგეთში, თვითმართველობის შენობაში ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმეების გარდა, დილის ცხრა საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე; 2. იმ პირთ, რომელთაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში, მაგრამ უფლება მათი შეზღუდულია სათათბიროს არჩევნების დებულების ძალით, შეუძლიანთ, თუ სურთ ისარგებლონ თავიანთ უფლებით, წერილობითი განცხადება შემოიტანონ და თან წარმოადგინონ თავიანთ უფლების დასამტკიცებელი საბუთები (მოწმობები) იმ წესით, რომელიც აღნიშნულია 11 დეკემბერს 1905 წ. (განყ. VIII) გამოცემულ დებულებაში. საბუთები წარდგენილ უნდა იქმნას არა უგვიანეს ამა მიმდინარე წლის 24 მარტისა (3—3)

უმორჩილესად ვაცნობებთ ტფილისის პატივცემულ მცხოვრებთ, რომ ჩვენ ავიღეთ იჯარით აბანო თავ. დ. სუმბათაშვილებისა „ფანტაზია", ვორონცოვის ქუჩაზე, მეექვსე ნაწილში. აბანოში ნომრებსა და საერთოში დიდი სისუფთავეა და არაფრის შიში არ არის და ღამ-ღამობითაც ღიაა.

მოიჯარადრენი: ისმაილოვი და ალაპკეროვი. (2—2)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 5—7-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, თოხარს პირდაპირ № 8. (წლ.)

მედიცინის დოქტორი
გრიგოლ იოსების ძე გურგენოვი,

რომელიც ხარკოვის უნივერსიტეტის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკის შტატის ორდინატორად იყო, იღებს საბებიოდ და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს. ავადმყოფები მიიღება: დილით 10-დან 12-მდე; საღამოთი 5-დან 7 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა, სარტისტო საზოგადოების პირდაპირ. (30—53—18)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კარეტა.

არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში

თელავის სამოქალაქო საზოგადო საბჭო საყოველთაოდ აცხადებს, რომ კავკასიაში მის უდიდებულესობის ნამესტნიკის განკარგულების თანახმად, იმ პირთ, რომელთაც ჰსურთ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში, განცხადებანი უნდა წარმოადგინონ ამა წლის 24 მარტამდე.

განცხადებათ ყოველ დღე იღებენ სამოქალაქო საზოგადო საბჭოს სადგომში, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1-მდე, კვირა-უქმე დღეებშიაც.

განცხადებანი მიიღება როგორც იმათგან, ვისაც თავის სახელზე არა ნაკლებ ერთის წლისა დაქირავებული აქვთ თელავში ბინა, ისე ყველა იმ ამომრჩეველთაგან, ვინც დარწმუნებული არაა, რომ საარჩევნო სიებში ჩარიცხული იქნება.

საარჩევნო უფლების დამამტკიცებელ საბუთებად ჩაითვლება ხელშეკრულება ბინის დაქირავების შესახებ სახლის პატრონთან ან პოლიციის მოწმობა ამისავე შესახებ; სახლის პატრონის კვიტანციები ქირის მიღების შესახებ; პასპორტი, რომელიც დაამტკიცებს, რომ მსურველი დიდი ხანია ცხოვრობს ქალაქში; მოწმობები უფროსთაგან, რომ მსურველი პენსიას ან ჯამაგირს იღებს და სხვა.

რადგან ზოგიერთი მამული ქალაქის საგადასახადო წიგნებში დღევანდელ პატრონებზე არაა ჩაწერილი, ან ჩაწერილია მემკვიდრეებზე და მემკვიდრეები სახელდობრ არაა აღნიშნული და რადგან ამ მიზეზით ძნელდება იმ ამომრჩეველთა სიების შედგენა, რომელთაც ქონებრივი ცენზი აქვთ, ამიტომ იწვევენ ასეთ მამულების პატრონთ წარმოადგინონ მოწმობები იმის შესახებ, რომ მამულები ახლა მათ ეკუთვნის. (1—104—1).

სახელმწიფო სათათბირო და ჩვენი ტაქტიკა

I

დეკემბრის გამარჯვებით გათამამებულს მთავრობას ამ ჟამად ისე არაფერი არ სწყურიან, როგორც რუსეთის რევოლიუციის დაგვირგვინება ოცი თებერვლის საკანონმდებლო აქტებით შეთხზულ სახელმწიფო საბჭოს და სახელმწიფო სათათბიროს შემოღებით. რას წარმოადგენს თავის თავად ამ გვარი „სახალხო" წარმომადგენლობა, ეს ყველაზე უკეთესად იქიდანა სჩანს, რომ თვითმპყრობელობა ძველებურად რჩება და წინანდელს ბიუროკრატიულ დაწესებულებებს ემატება მხოლოდ ერთი ახალი კოლლეგიური დაწესებულება, რომელიც ვითომ ხალხის ნდობით შეჭურვილის და ვითომ ხალხისაგან თავისუფლად არჩეულ პირთაგან შესდგება და რომელსაც უფლება ექნება კანონ-პროექტების შესახებ დავიდარაბა გამართოს, სიტყვები წარმოთქვას და ვითომ ხალხის სურვილი გამოხატოს, რა თქმა უნდა, იმ აუცილებელ პირობით, რომ ყოველთვის ბიუროკრატიის განზრახულებანი მოიწონოს და დაადასტუროს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დათხოვნილ იქნება და სამაგიეროდ ერთის წლის ან ცოტა ნაკლების შემდეგ ახალი ასეთივე კოლლეგია იქნება მოწვეული, რომელსაც სწორედ ისევე, როგორც პირველს, მხოლოდ მაშინ ექნება რეალური მნიშვნელობა, თუ მორჩილი გამოდგა ბიუროკრატიისა და იმის განზრახულებათა აღსრულებას ემსახურება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს მეორე კოლლეგიაც დათხოვნილ იქნება მესამის მოსაწვევად და სხვა.

რევოლიუციით შეშინებული ფეოდალური და ბურჟუაზიული ნაწილი რუსეთის მცხოვრებლებისა მზად არის ყოველგვარი ზნეობრივი და პრინციპიური, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, მსხვერპლი გაიღოს, ოღონდ კი რევოლიუციის ცეცხლი ჩაქრეს და მით დამშვიდებულ იქმნას მათი გული იმ მხრივ, რომ ეხლანდელი სოციალ-ეკონომიური უპირატესობა და ბატონობა მშრომელ ხალხზე ხელუხლებლად დარჩებათ მომავალშიაც. შიში სოციალურ უპირატესობათა დაკარგვის წინაშე ამსაზოგადოებრივ წრეებში ისე ძლიერია, ისე ღრმა არის, რომ ისინი მზად არიან მათგანვე ყბად აღებულს ბიუროკრატიას ჩაჰკიდონ ხელი, მიენდონ იმის გამოცდილებას, უარ-ჰყონ თავისთვისაც კი პოლიტიკური უფლებები და ამგვარად თვითმპყრობელ ბიუროკრატიის მფარველობით შეინარჩუნონ ეხლანდელი თავისუფლება მშრომელთა ექსპლოატაციისა. ვიტტეს მშვენივრად ესმის შეძლებულ კლასსთა ეს ფსიხოლოგია და სწორედ ამიტომ გაბედა „საკონსტიტუციო თვითმპყრობელობის" გამოცხადება. ინტერესი ლოგიკაზე ძლიერია, ინტერესი ისე დაარღვევინებს ადამიანს ლოგიკის კანონებს, რომ წარბ-ც არ შეარხევინოს. კონსტიტუცია და თვითმპყრობელობა ერთი-მეორის უარ-ყოფაა, ერთისაგან მეორის ფეხ-ქვეშ გათელვაა, მაგრამ ბურჟუაზიულ და ფეოდალურ წრეების ინტერესი მოითხოვს მათს შეთანხმებას და გონებაც სწორედ ასე იქცევა. საიდან წარმოსდგა ეს მძლეთა-მძლე ინტერესი, როგორ დაიბადა იგი?

რუსეთის რევოლიუცია წარმოადგენს ბრძოლას უმთავრესად სამის სხვა და სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალისას და ამ ძალთა შეტაკება და კომბინაცია ჰქმნის ეხლანდელ პოლიტიკურ ცხოვრების აჩქარებულ მაჯის ცემას. პროლეტარიატი და გლეხობა, ერთი ნაწილი, შეგნებულად და მეორე შეუგნებლად იბრძვის თავის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრების გასაუმჯობესებლად. მშრომელ ხალხს, მაშასადამე, ორი მტერი ჰყავს—თვითმპყრობელი ბიუროკრატია და ფეოდალურ-ბურჟუაზიული კლასსები: ბიუროკრატია პოლიტიკური მტერია, ფეოდალურ-ბურჟუაზიული კლასსები კი უმთავრესად სოციალური მტერია. დემოკრატიული მმართველობა თავის თავად შეძლებულ კლასსთა ინტერესებს არ ეწინააღმდეგება, პირიქით, ეს ინტერესი მოითხოვს, რომ გამეფდეს ქვეყნის მართვა-გამგეობაში დემოკრატიული პრინციპი; ამიტომ, ვიდრე მშრომელი ხალხი პოლიტიკურ იდეალის დროშით გამოდის ბიუროკრატიასთან საბრძოლველად, შეძლებული კლასსები იმას მხარს აძლევენ, ზურგს უმაგრებენ და უადვილებენ იდეალთან დაახლოვებას. ასეთს სურათს წარმოადგენდა რუსეთის რევოლიუცია ჩვიდმეტ ოქტომბრამდე. პირიქით, როდესაც მშრომელი ხალხი შეძლებულ კლასსთა უპირატესობისა და ბატონობის დასანგრევლად ილაშქრებს, მაშინ ფეოდალური და ბურჟუაზიული კლასსები მშრომელ ხალხის ჭეშმარიტ მტრებად ხდებიან: ეს მტრობითი განწყობილება გამოიჩინა ოქტომბრის შემდეგ, როდესაც მშრომელმა ხალხმა სოციალურ რევოლიუციის ლოზუნგი წამოაყენა, გლეხობამ მიწების დაუფლობა დაიწყო და პროლეტარიატმა რვა საათის სამუშაო დღის განხორციელება. მშრომელ ხალხის სოციალურს მოწინააღმდეგეს თავის თავად საკმაო ძალა არ გააჩნდა ბურჟუაზიულ და ფეოდალურ უპირატესობათა დასაცველად, რადგან ფაქტიურად ოქტომბრის შემდეგაც ისევ ბიუროკრატიას ეპყრა ხელში ქვეყნის მართვა-გამგეობის სადავე, ისევ ბიუროკრატია იყო სახელმწიფოს ცენტრალიზმის ძალთა გამგე, იმას ემორჩილებოდა ჯარი, იმის ხელშივე იყო ხაზინა და სხვა. შეძლებული კლასსები ოქტომბრის შემდეგ დღითი-დღე უფრო და უფრო მეტ საფრთხეში გრძნობდნენ თავს, უფრო და უფრო მეტს უნუგეშობას განიცდიდნენ და მძიმე-მძიმედ თვითმპყრობელ ბიუროკრატიისკენ იშვერდნენ მათხოვარ ხელებს. ბიუროკრატიას მშვენივრად ესმოდა, რომ რაც უფრო მეტს უნუგეშობაში ჩავარდებოდნენ ფეოდალურ-ბურჟუაზიული წრეები, მით უფრო ადვილი იქნებოდა სასარგებლო ხელშეკრულებაზე მოეწერინებინა ხელი მათთვის და ამიტომ კარგა ხანს ყურმოყრუებული უყურებდა მშრომელ ხალხის ძლევა მოსილ ბრძოლას გაბატონებულ კლასსებთან. დეკემბერში, როცა ფეოდალური და ბურჟუაზიული კლასსები უკვე საკმაოდ გაიმსჭვალნენ უნუგეშობის გრძნობით და მშრომელ ხალხისადმი მტრობით, ბიუროკრატია მთელის თავის ძალ-ღონით წამოუშველა ამ კლასსებს. მათთან ერთად დაამარცხა გარევოლიუციონერებული ხალხი და ამ გვარად დაიბრუნა ოქტომბერში დაკარგული ბატონობა. ბიუროკრატიას კარგად ესმოდა, რომ, მიუხედავად დეკემბრის გამარჯვებისა, სრული აღდგენა ძველის წესწყობილებისა ისევ მშრომელ ხალხის და შეძლებულ კლასსთა შეთანხმებულს ბრძოლას გამოიწვევდა და ამიტომ, მიუხედავად ფაქტიურის შეძლებისა, ეს არ მოისურვა. ბიუროკრატიას დეკემბრის გამარჯვების დასამკვიდრებლად ისეთი რამ ახალი ფორმა სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა უნდა გამოეგონა, რომელიც ერთის მხრივ თვითმპყრობელობას აღადგენდა, მეორეს მხრივ ფეოდალების და ბურჟუების თანაგრძნობას არ დაუკარგავდა ბიუროკრატიას, მაშასადამე, ცოტაოდენ პოლიტიკურ უფლებას მაინც მისცემდა ფეოდალების და ბურჟუების ერთს ნაწილს, და მესამე მხრივ თვით მშრომელ ხალხთა წრეებში პოლიტიკურ თვითშეგნების დაბნელების იარაღად გამოდგებოდა. ბიუროკრატია ორ თვეზე მეტს იმტვრევდა თავს ასეთ გრძნეულ მართვა-გამგეობის სისტემის გამოსაგონებლად და ბოლოს-ბოლოს გამოიგონა „საკონსტიტუციო თვითმპყრობელობა", რომელიც თავიდან ბოლომდე შინაგანის წინააღმდეგობით არის სავსე.

ფეოდალურ და ბურჟუაზიულ კლასსებს თავის საკუთარის ძალ-ღონით რუსეთის ბიუროკრატია ჯერ-ჯერობით არც ერთხელ არ დაუმარცხებიათ, ამიტომ იმათ ვერც პოლიტიკური ბატონობა ჩამოართვეს ბიუროკრატიას; ბიუროკრატიასაც და შეძლებულ კლასსებსაც კარგად ესმით, რომ მთავრობა მხოლოდ იმ დრომდე შესძლებს აღაგმოს ხოლმე მშრომელ ხალხის აქტიური გალაშქრება პოლიტიკურ უფლების დასაპყრობად, ვიდრე მთავრობის მხარეზე იქნება შეძლებულ კლასთა სიმპატია, რისთვისაც აუცილებლად საჭიროა, რომ ბიუროკრატია პირდაპირ ამ გაბატონებულ კლასსთა ინტერესებს ემსახურებოდეს; ამგვარის ურთიერთობისთვის ყოვლის უწინარეს საჭიროა, შეძლებულ კლასსებს მიენიჭოს უფლება, აღნიშნონ ხოლმე ბიუროკრატიის წინაშე მათის ინტერესებისთვის ხელსაყრელი მიმართულება პოლიტიკისა და კანონმდებლობისა. ამ გვარად, „საკონსტიტუციო თვითმპყრობელობის" ისტორიული და ამასთანავე რეალური აზრი არის უჩუმარი, იურიდიულ ფორმებში ჩამოუყალიბებელი ხელშეკრულობა თვითმპყრობელ ბიუროკრატიისა და შეძლებულ კლასსებისა, ერთი-ერთმანეთი გააძლიერონ ფაქტიურად მშრომელ ხალხის წინააღმდეგ და საკონსტიტუციო მმართველობის გარეგანი ფორმები შემოიღონ პროლეტარიატის და გლეხობის პოლიტიკურ და სოციალურ თვითშეგნების დასაბნელებლად.

ცხადია, რომ „საკონსტიტუციო თვითმპყრობელობას" მშრომელ ხალხის ყველა იდეოლოგი დაჰგმობს, მაგრამ დაგმობა—საქმის გაკეთება არ არის. საჭიროა, გამორკვეულ იქნას ის ტაქტიკა, ის წესი მოქმედებისა, რომელსაც შეუძლია ერთის მხრივ თავით ბოლომდე გამოამზეუროს შინაგანი წინააღმდეგობა ამ უცნაურის მმართველობის სისტემისა და მეორეს მხრივ დააჩქაროს იმის საბოლოო დამარცხება შრომის დროშას ქვეშ თავმოყრილ ხალხის სასიკეთოდ. საკონსტიტუციო თვითმპყრობელობა ხელოვნურად დახლართული სისტემაა და ამიტომ დღეს ცხოვრების ზედაპირზე წამოყენებული ტაქტიკის საკითხი მეტად მძიმე გადასაწყვეტია, მით უმეტეს, რომ ამ გადაწყვეტილებას ფრიად დიდი მნიშვნელობა ექნება რუსეთის რევოლიუციის მიმდინარეობისთვის. (შემდეგი იქნება)

დასავლეთ საქართველოში

გურია, 5 მარტი. არ იქნა ერთი მშვიდობიანად ამოსუნთქვა აღარ გვეღირსა. ისე დღე არ გავა, რომ რაიმე მწუხარება არ ეუფლოს ჩვენს დაღალულ სულსა და გულს. გვგონია, აი დღეს, აი ხვალ მოვისვენებთ, თავს დაანებებენ სახლ-კარის წვა-ნგრევას. ხომ ავასრულეთ და ვასრულებთ კიდევაც მოთხოვნილებას, ხომ დავიჩოქეთ და მუხლ-მოდრეკით შევთხოვეთ, გავიარეთ ქუჩებში ხატებით, მეფის სურათებით, ბაირაღებით. წავიდნენ ჩვენი შვილები და ძმები სალდათებად, ეახლნენ დეზერტირებიც, წელებზე ფეხი დავიდგით გაჭირვებულმა, გადახიზნულმა ხალხმა და გავისტუმრეთ გადასახადები; მოთხოვნილებისათანავე მივეცით ჯარს ცხენები, ურმები და სხვა. აღვადგინეთ სამამასახლისოები, პოლიცია, სასამართლო... მაგრამ სადაა დამშვიდებული ცხოვრება? ისე დღე არ გავა, რომ, სულ ცოტა რომ სთქვას კაცმა, ოთხი-ხუთი კაცი მაინც არ დაიჭირონ და დაატუსაღონ. რისთვის, რას აბრალებენ—არავინ იცის. ასე გასინჯეთ, მღვდლებსაც კი იჭერენ და ატუსაღებენ.

ახლა ავიღოთ სოფლები. მოსტყუვდება ვინც იფიქრებს, რომ სურებსა და ხიდისთავში მოლაპარაკების შემდეგ გახიზნულნი დაბრუნდნენ თავ-თავიანთ ოჯახებში, ამოზიდეს კლდე-ღრეებიდან ბარგი-ბარხანა, დაალაგეს სახლში და გააჩაღეს კერა. მე თითონ ვნახე სურებსა და ხიდისთავიდან ჩამოსული დეპუტაცია: 2 მარტს სურებლები და 4-ს ხიდისთავლები. დიდის ხვეწნისა და მუდარის შემდეგ პოლკოვნიკი კრილოვი შევიდა იმათ მდგომარეობაში და თითო კომლზე რომ თოფს თხოულობდა, აღარ მოითხოვა და უთხრა, რამდენიც იშოვეთ,

მომიტანეთო. ვადაც დაუნიშნა. სურებლებმა ამ დროისთვის მოიტანეს ოთხი თოფი, ხიდისთაველებმა—10. ეს ეცოტავა ჯარის უფროსს და გააგზავნა ახალი მოთხოვნილება, ან მოიტანეთ ორმოცდა ათი თოფი ან არა და მოვდივართ სურებში და ხიდისთავშიო. პოლკოვნიკმა ვოსკრესენსკიმ, რომელიც ჩოხატაურში სდგას ჯარითა და ზარბაზნებით, პირდაპირ უთხრა თურმე დეპუტაციას, როცა ჩვენ წამოვალთ, „მტყუანსა და მართალს" აღარ გავარჩევთო, ასე მაქვს ნაბრძანებიო. შეშინებული დეპუტაციები კრილოვთან მოვიდნენ მართალ ამბის შესატყობად და კიდევ სათხოვრად. კრილოვმა თოფების მაგივრად მოსთხოვა სურებს 1000 მანეთი 350 თოფის ფასად, რომელიც ვითომდა სურებში უნდა იყოს, ხოლო ხიდისთავს—950 მან. 340 თოფის ფასად. ამას გარდა, ხიდისთაველებს დაავალა დააქციონ 22 სახლი შემჩნეულ კაცებისა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩოხატაურიდან ჯარი მოვა და ის დააქცევსო. ამ მოთხოვნილებათა შესასრულებლადაც ვადა დაუდვა. ჩოხატაურში დასწვეს და დააქციეს 14 სახლი „შემჩნეულ კაცებისა", ერკეთში დააქციეს ბენია ჩხიკვიშვილის მამის, 80 წლის მოხუცის, სახლი. სხვაც ბევრია ამ მდგომარეობაში. დღეს 75 წლის მოხუცმა ალექსანდრე გუგუნავამ შემომჩივლა, რომ ჩემი ოჯახი რძალი წვრილიშვილით სამი სხვა და სხვა ადგილას ცხოვრობს, ხოლო მე პირდაპირ ცის ქვეშა ვარ, კარავიც კი ვერ გამიკეთებიაო. ამ ორი დღის წინ, ღამე, დასწვეს ოზურგეთში ქვეითაიას სახლი.

დღეს ჯარის უფროსმა აკრძალა ოზურგეთში „ჩერნომორსკი ვესტნიკ"-ის ცალკე ნომრების გაყიდვა. **დამსწრე.**

—

ლეჩხუმი. უკვე იცით, რომ სხვა მაზრებთან ერთად ლეჩხუმიც არ ასცდა აკლება-წიოკებას. რეპრესიებს ქარ-ცეცხლი მოჰყვა. ლეჩხუმში ჯერ-ჯერობით გადამწვარია 19 სახლი და სამი დუქანი (ცაგერის დუქნები). მოჰკლეს ორი კაცი: ფრუიძე და ჭაბუკიანი. მიზეზად გაქცევას ასახელებენ. გაცხარებული ძებნაა პროპაგანდისტებისა. როგორც პოლიცია, ისე ხალხი აღარ ინდობს ეხლა ასეთ კაცებს. თვითოეული სოფელი ხელახლა დაიფიცეს თავ-თავიანთ ეკკლესიაზე და პირობა დაადებინეს, რომ მოთხოვნილებათა ასრულების გარდა დაიჭირონ „საეჭვო" კაცები და მთავრობას წარუდგინონ. ფიცის ფურცლები პოლკოვნიკ გავრილოვს წარუდგინეს. გამრავლდნენ გამცემლები. ასეთ ვაჟბატონების წყალობა იყო, რომ 7 თებერვალს, ღამის პირველ საათზე, მაზრის უფროსი ორასი ყაზახით ეწვია თავ. ლევან დადეშქელიანის ცოლშვილს. ლევანის ოჯახობა თავ. იასონ გელოვანის სახლში იდგა, რადგან ლევანის მშვენიერი სახლ-კარობა ცეცხლმა გაანადგურა. ჯარმა ის ვერ იპოვა, ვისაც ეძებდა. დაიკარგა ნივთები. გათენდა დილა თუ არა, ალპანაში წაიყვანეს დადეშქელიანის ცოლი ძუძუ მწოვარა ბავშით და სიმამრი. ესენი ერთ კვირას გააჩერეს იქ და შემდეგ გაანთავისუფლეს.

ყველიერს აქეთ ცაგერის საპყრობილეში დაპატიმრებულია რამდენიმე კაცი, რომელთაც წითელი რაზმის წევრებად სთვლიან. სვანეთიდან 22 თებერვალს ჩამოვიდა 12 კაცი. ესენიც რაზმელებად ჩასთვალეს და დააპატიმრეს. ცაგერის ტუსაღები აუტანელ მდგომარეობაში არიან. სატუსაღოში ტევა არ არის დაპატიმრებულთა. 25 თებერვალს ადგილობრივ მთავრობას გამოეცხადა მღ. არ. ბოჭორიშვილი, რომელსაც გაეგო, რომ მთავრობა ეძებდა. ბოჭორიშვილი შეიპყრეს. მკაცრი გამოძიებაა პლატონ და ვასილ ჩიქოვანების თავ. ალექსანდრე, და სევარიონ გელოვანების და აზ. სერგია გელოვანის და იმისი ძმის მკვლელთა აღმოსაჩენად.

ლეჩხუმის მკვიდრნი, მთა-ტყეებში გახიზნულნი, ეხლა უბრუნდებიან თავიანთ კერას, თუმცა ცახცახით, რადგან ხმაა—კიდევ ბევრი განადგურდება შეუბრალებელ ცეცხლისა და მახვილისაგანაო. ბევრს აღარ აწუხებს შინაური ფრინველი ცხოველი და ტანისამოს-ნივთეულობა. დაუპატიჟებელი სტუმრები კარგად ატარებენ დროს, მიირთმევენ საუკეთესო სასმელ-საჭმელს და მუსიკით და ცეკვით ირთობენ თავს. ყველაზე მეტად ძარცვა-გლეჯისაგან დაზარალდა შემდეგი სოფლები: ლაჯანა, ორბელი და ჩხუტელი. ამ სოფლებს უვლის ფოსტის გზატკეცილი და კვირაში ოთხჯერ უნდა ატარ-ჩაატარონ ფოსტა. თან ახლავენ დამცველნი. მათი გულკეთილობა აქამდის მიდის, რომ ყოველ ავლა-ჩავლის დროს უნდა გაჰკრან სოფლებს. თ-დ გარდაფხაძეებს კარგი დღე გაუთენდათ. დიდის მადლობით მიეგებნენ პოლკოვნიკ გავრილოვს. **კორნელი**

ახალი ამბავი

◆ **ანაზღაურება გლეხებისაგან.** მეტად სამწუხარო ამბები მოდის პროვინციიდან. დიდ ძალ ფულს აწერენ გლეხებს და კაცმა არ იცის, საიდან უნდა მოახერხოს უმისოდაც მიწასთან გასწორებულმა ხალხმა ამოდენა ფულის გადახდა. 1. ახალსენაკში ურიადნიკის მოკვლისათვის 5 ათასი მანეთი შეუწერიათ ხალხისათვის, სამაზრო გამგეობის მდივნის კორინსკის მოკვლისათვის—10 ათასი მანეთი, აზნ. კოწია ბერაიას სახლის დაწვისა და იმის შვილის მოკვლისათვის—5 ათასი მანეთი, ნაქალაქევში ურიადნიკ ადამიას მოკვლისათვის—5 ათასი მანეთი. გარდა ამისა სალხინოს, ნაოდალევის და ნამკოლის სოფლის საზოგადოებებს პრინცესა მიურატის სასარგებლოდ უნდა გადახდეთ 60 ათასი მანეთი, თავ. მინგრელსკისაც თავისი მოუთხოვნია. ასეთივე ამბავი ხდება ქართლში. ტირძნისელებს ადგილობრივ მემამულისათვის გადაუციათ 5,200 მ., ხოლო სხვა ფულის შეტანაზე უარი უთქვამთ და საბუთად ის მოუყვანიათ, რომ სულხანიშვილის სახლის განადგურებასა და გაძარცვაში ჩვენ არა ვართ დამნაშავენიო. მკითხველს უკვე მოეხსენება, რომ ქ-ნმა სულხანიშვილმა რაოდენობა ზარალისა 40,000 მ. აღნიშნა.

◆ **სათათბიროს შესახებ.** ჩვენ გადმოგვცეს, რომ ქართველ სოც.-ფედერალისტთა პარტიის დელეგატთა კრებას განუხილავს საკითხი სახელმწიფო სათათბიროს შესახებ და შემდეგი დაუდგენია:

1. სახელმწიფო სათათბირო არის ჩვეულებრივი ბიუროკრატიული დაწესებულება, რომელსაც საკანონმდებლო მნიშვნელობა და ძალა-კი არ ექნება, არამედ მხოლოდ სათათბირო;

2. მიუხედავად იმისა, რომ სათათბიროს ასეთი ფრიად მცირე მნიშვნელობა და ძალა ენიჭება, თვითმპყრობელმა მთავრობამ ისეთი საარჩევნო კანონები შეიმუშავა, რომ წინდაწინვე უზრუნველ ჰყო მხოლოდ რეაქციონერთა არჩევა; არც ეს იკმარა და არჩევნებში თვით ჩაერია მხეცური რეპრესიებით, რათა უეჭველი გამარჯვება არგუნოს მხოლოდ თავის ყურ-მოჭრილ მონებს—რეაქციის მომხრე მოხელეებსა და მსხვილ მებატონე-კაპიტალისტებს;

3. ბიუროკრატიამ იმიტომ შექმნა ასეთი ყალბი სახალხო წარმომადგენლობა, რომ დაიცვას და დასტოვოს სრული თვითმპყრობელობა და ამავე დროს ქვეყანა მოატყუოს წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობის აჩრდილით;

4. თუ ასეთს დაწესებულების წევრთა არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს რევოლიუციონური პროლეტარიატი და გლეხობა, მაშინ სათათბიროს მართლა ისეთი ელფერი მიეცემა, თითქო იგი ნამდვილი სახალხო წარმომადგენლობა იყოს;

5. არჩევნებში მონაწილეობის მიღება და სათათბიროში მოღვაწეობა მშრომელ ხალხის სრულს ყურადღებას მიიპყრობს და დროებით მაინც სარევოლიუციო ბრძოლას გაანელებს, რადგან ცრუ იმედი მიეცემა, რომ სათათბიროში ლეგალურის ბრძოლით შეუძლია დაიკმაყოფილოს უახლოესი პოლიტიკური და ეკონომიური საჭიროებანი;

6. დაწყებული რევოლიუცია უეჭველად უნდა გათავდეს არა სახელმწიფო სათათბიროს მსგავს დაწესებულების შექმნით, არამედ ხალხის სრულის გამარჯვებით თვითმპყრობელობაზე, რასაც უახლოეს შედეგად უნდა მოჰყვეს დამფუძნებელ კრებათა მოწვევა საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულ კენჭის ყრით.

ამ მოსაზრებათა ძალით ქართველ სოც.-ფედერალისტთა პარტიის დელეგატთა კრებამ გადასწყვიტა ბოიკოტი გამოუცხადოს სახელმწიფო სათათბიროს. პარტია მწერლობით და სიტყვიერის ქადაგებით ხელს შეუშლის არჩევნების საქმეს, დაუშლის ხალხს მონაწილეობის მიღებას და ამგვარად, სხვა სარევოლიუციო პარტიებთან ერთად, შეეცდება ყოველი ღონე დაუკარგოს ბიუროკრატიის ახალ გამოგონებას, რომლის ერთად ერთი მიზანია ხალხი მოატყუოს და იმავე დროს თვითმპყრობელობა გააძლიეროს.

◆ **ტფ. სოციალ-დემოკრატების დადგენილება.** „განთიად"-ში ვკითხულობთ: „როგორც გავიგეთ, თფილისის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ოთხივე რაიონულ ორგანიზაციებს 42 ხმით წინააღმდეგ რვა ხმისა დაუდგენიათ სახელმწიფო სათათბირო არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ და ყოველგან თავისი კანდიდატები გაიყვანონ. ასეთივე გადაწყვეტილება მიუღია ხელმძღვანელ კოლექტივს. აი თვით რეზოლიუცია:

„რომ სოციალდემოკრატიას წარმომადგენლობით დაწესებულებების არჩევნებში მონაწილეობის მიღებით უმთავრესათ პროპაგანდა და აგიტაცია აქვს მიზნათ;

რომ, მეორეთ, რუსეთის დღევანდელ პოლიტიკურ პირობებში, როცა ერთი მხრით სოციალ-დემოკრატია კანონს გარეშეა დაყენებული და არ ძალუძს აშკარათ მოეწყოს, ხოლო მეორე მხრით, ბურჟუაზიული პარტიები კანონის საფარველს ქვეშ აშკარათ მოქმედებენ და მუშათა მასას თან ითრევენ—აი ასეთ პირობებში არჩევნებში მონაწილეობის მიღება გახდება მთავარ საშუალებათ პოლიტიკური აგიტაციის და პროლეტარიატის და გლეხობის სოც.-დემოკრატიულ დროშის ქვეშ თავის მოყრის და ორგანიზაციისათვის;

რომ, მესამეთ, ასეთი მონაწილეობა აწევს ხალხის ამ ჟამათ დაწეულ პოლიტიკურ განწყობილებას და მით მოამზადებს ნიადაგს მის აქტიურ გამოსალაშქრებლად.

რომ, მეოთხეთ, არჩევნების ბოიკოტი მაშინ, როცა კენჭის მქონეთა დიდი უმრავლესობა ირჩევს, ნიშნავს პროლეტარიატის მოწინავე ელემენტების ასპარეზიდან განშორებას და მოედნის უკან ჩამორჩენილთათვის დათმობას, ე. ი. თავის თავის ბოიკოტს.

ამიტომ თფილისის სოც.-დემ. რაიონული ორგანიზაციები წინადადებას აძლევენ ყველა ამხანაგთ მხურვალე მონაწილეობა მიიღონ სათათბიროს არჩევნებში და ყოველგან თავისი კანდიდატები გაიყვანონ.

რაც შეეხება თვით სათათბიროში მონაწილეობის მიღებას—ეს კითხვა გადაწყვეტილი იქმნება იმ პოლიტიკურ მდგომარეობის მიხედვით, რომელიც იმ დროს რუსეთში იქმნება. ე. ი. თუ იმდენი თავისუფლება იქმნება, რომ რუსეთის მუშათა მიერ არჩეულ პირთ შეეძლებათ ერთად თავის მოყრა და რევოლიუციონერ სახალხო სათათბიროს შედგენა—მაშინ ამ სათათბიროში მივიღებთ მონაწილეობას, თუ ეს არ მოხერხდა და რევოლიუციური მოძრაობა შესდუნდა, მაშინ სახელმწიფო სათათბიროში მივიღებთ მონაწილეობას, რომ იქიდან მაინც შევეცადოთ ამ მოძრაობის გაღვივებას".

ბაქოს სოციალ-დემოკრატებს, პირიქით, დაუდგენიათ, არავითარი მონაწილეობა არ მიიღონ სათათბიროს არჩევნებში. ასევე დაადგინეს, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ქუთაისის გუბ. სოც.-დემოკრატებმა.

◆ **თავად-აზნ. საგანგებო კრება.** გუშინ, 9 მარტს, ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილის თავ. ა. ორბელიანის თავმჯდომარეობით მოხდა საგანგებო კრება გუბერნიის თავად-აზნაურთა სახელმწიფო საბჭოს დეპუტატების ამომრჩეველთა ამოსარჩევად. როგორც აღნიშნული გვქონდა, ამ საგანგებო კრებისათვის განსაკუთრებულმა კომისიამ და კერძო კრებებმა შეამზადეს განსახილველ საქმეთა პროგრამა, რომელიც შეიცავდა საყურადღებო საკითხებს (სამხედრო წესის მოხსნას, საქართველოში ჯარისა და ყაზახების თარეშს და ხალხის დაწიოკების შეჩერებას და სხვა). მაგრამ ტფ. გუბერნატორმა კრებას ნება არ დართო ამის განხილვისა და წინადადება მისცა მარტო არჩევნები მოეხდინა. კრების გახსნისათანავე კამათი გაიმართა იმის შესახებ: თუ არჩევნებში ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა: მარტო ცენზიანმა თავად-აზნაურობამ, თუ ყველამ, განურჩევლად ცენზისა. კამათმა გასტანა ნაშუადღევის 2 საათამდე. შემდეგ თავმჯდომარემ განაცხადა: კანონთა კრებულის მეცხრე ტომით უნდა ვიხელმძღვანელოთ და კენჭის ყრის ნება მარტო ცენზიან თავად-აზნაურობას ეძლევაო. დაასახელეს კანდიდატები ამომრჩეველთა: თავ. ილ. გ. ჭავჭავაძე, მ. ა. გედევანიშვილი, ი. ჯაბადარი, თავ. ივ. ს. ჭავჭავაძე და თავ. დ. გურამიშვილი. კენჭის ყრას დასთანხმდნენ და ამორჩეულ იქმნენ თავ. ილ. გ. ჭავჭავაძე (40 ხმით წინააღმდეგ 1 ხმისა) და მ. ა. გედევანიშვილი (35 ხმით წინააღმდეგ 6 ხმისა).

◆ **ორი ყუმბარა.** გუშინ-წინ, 8 მარტს, პოლიციის 1 ნაწილში, მოსკოვის ქუჩაზე, „მოსკოვის" სასტუმროს პირდაპირ, ხუნდაძის ბინის სახურავში აღმოაჩინეს ორი ყუმბარა. როგორც გადმოგვცეს, ბავშები კოჭობანას თამაშობდნენ. ერთი კოჭი მაღლა შევარდნილა, ასულან და უნახავთ ყუმბარები. ეს ამბავი მალე პოლიციასაც გაუგია, ჯარი შენობას შემოარტყეს და ხუნდაძე დააპატიმრეს, მაგრამ მერე ისევ გაუშვეს.

◆ **ჩხრეკა.** გუშინ, 9 მარტს, ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკმა და არტილერიის ერთმა ბრიგადამ შემოარტყა ალყა ნავთლუხს და შეუდგა მცხოვრებთა სახლების ჩხრეკას. ჩხრეკა დაიწყო დილის 8 საათზე და გათავდა 12 საათზე. ნავთლუხსა და ქალაქს შუა შეჰკრეს ყოველი მოძრაობა. ნავთლუხიდან ქალაქს არავის არ უშვებდნენ გარდა სამხედრო წოდებისას. შემოიარეს მთლად ზევითა და ქვეითი ნავთლუხი, გადააბრუნეს ყველაფერი და გარდა ორის თოფისა, რომელთა პატრონებსაც ნებართვის მოწმობა ჰქონიათ, და რამდენიმე ძველ ნასროლ ტყვიისა, ვერა იპოვნეს-რა.

◆ **სამუდამოდ გადასახლებულნი.** ბათუმის გუბერნატორს გამოუცია უკვე მეოთხე სია იმათი, ვინც ბათუმიდან სამუდამოდ უნდა გადაასახლონ. მეოთხე სიაში თურმე 14 კაცია მოქცეული, მათ შორის მეხაიშვილი, ივანე კეზიძე და ნესტორ დომენია, რომელთაც ივანოვის მოკვლა ჰბრალდებოდათ და რომელნიც სამხედრო სასამართლომ გაამართლა. ესენი გამართლების შემდეგ არ გამოუშვიათ და დღესაც საპყრობილეში სხედან თურმე. (ს.)

◆ **პატრიოტთა გაფიცვა.** ქალაქში შემდეგი ხმა დადის: ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოებისა და დეპოს მუშები, წევრნი პატრიოტულ საზოგადოებისა, გაფიცვას აპირობენ. მიზეზად იმას ასახელებენ, რომ რკინის გზის მოხელეთა და მუშათა შორის ბევრი სოციალისტია და მთავრობა-კი არა სდევნისო.

◆ **ხელახლა დაპატიმრებულნი.** ზოგიერთი მოსამსახურენი, რომელნიც საპყრობილიდან გამოუშვეს, განჯაში წავიდნენ. როგორც კი ჩავიდნენ, იქაურმა ადმინისტრაციამ ისევ შეიპყრო. მიზეზად ის უთხრეს, ჩვენ არ ვიცით, რად გაგანთავისუფლესო. როცა მივწერთ და გავიგებთ, მაშინ გაგანთავისუფლებთო.

◆ **პოლიტიკურ პატიმართა რაოდენობა.** დუშეთის სამაზრო საპყრობილეში ამ ჟამად 18 პოლიტიკური პატიმარი-ღაა.

◆ **ეგზარხოსის პასუხი დატუსაღებულ მღვდლებზე.** სასინოდო კანტორამ შეეკითხა ეგზარხოს ნიკოლოზს, როგორ მოიქცეთ დატუსაღებულ მღვდლების შესახებ, გადაეყენოთ თანამდებობიდან თუ არაო. ეგზარხოსმა დეპეშით აცნობა, რომ ეს საქმე მე სინოდში შემაქვს მოსახსენებლად; სანამ სინოდი განიხილავს, ადგილობრივმა საეპარქიო მთავრობამ გადასწყვიტოს საქმეო.

◆ **სამინისტროს შეკითხვა.** კავკასიის ნამესტნიკს სახალხო განათლების სამინისტრო შეეკითხა: წინააღმდეგი ხომ არა ხართ, რომ ვარშავის რეალურ სასწავლებლის დირექტორი თავ. არგუთინსკი-დოლ-

ფელეტონი

—

რუსეთის ცხოვრება

მესამე გმირი.—პიროვნება ჰქმნის „ისტორიას".—მიხვდნენ, მაგრამ გვიან.—შიმშილის ძალა.—ხალხი სულით დაეცა?—უცხოელნი რუსეთის პარლამენტის შესახებ.

ბევრი ლაპარაკი არ უნდა, რომ რუსეთისთანა სახელოვანი გენერლები იშვიათად თუ ეყოლება რომელსამე ერს, მაგრამ არც რუსეთ-ოსმალეთისა და არც რუსეთ-იაპონიის ომის დროს არ უჩენია თავი იმდენ სახელოვან გენერალს, რამდენმაც რუსეთის ეხლანდელ დამშვიდების დროს იჩინა. მრავალ სახელოვან გენერალთა შორის ყველაზე მეტად დღემდე თავი იჩინა სამმა: ერთი არის გენერალი მინი (ორი თვის წინად პოლკოვნიკი იყო), სემიონოვის პოლკის უფროსი, მეორე—ბალტიის მხრის დამპყრობი გენერალი ორლოვი, ხოლო მესამე... მაგრამ მესამეზე სხვა დროს მოვილაპარაკებთ. ეხლა მეოთხეც გამოჩნდა, რომელიც ამ სამს არაფრით თურმე არ ჩამოუვარდება: ეს გახლავთ ციმბირის სამხედრო ოლქის უფროსის გენ. სუხატინის თანაშემწე გენ. მელლერ-ზაკომელსკი. მშვიდობიანობა ჩამოვარდა ყველგანაო,—აუწყებს რუსეთის სვე-ბედის გამგეს გრ. ვიტტეს და თან მხნედ განაგრძობს „დამამშვიდებელ" მოქმედებას. დაპატიმრება დაპატიმრებას მისდევს. საპყრობილეები სავსეა პატიმრებით. აპატიმრებენ ყველას, განურჩევლად დიდისა და პატარისა: დაპატიმრებულთა შორის არიან 13—14 წლის ბავშვებიც კი. გაზ. „ვოსტ. ობოზრ." დაკეტეს „მავნე მიმართულებისათვის", ხოლო რედაქტორი დააპატიმრეს. ცხოვრება შესწყდა ქალაქში. ასეთ მდგომარეობაშია ირკუტსკი და სხვა ციმბირის ქალაქები, სადაც სამხედრო წესებია შემოღებული.

ასე მოქმედებს გენ. სუხოტინი მაგრამ იმისი მოქმედება არაფრად ჩაიგდება გენერალ მელლერ-ზაკომელსკის მოქმედებასთან შედარებით. ეს გენერალი დამსჯელ ექსპედიციით იყო გაგზავნილი ციმბირის რკინის გზაზე და მალე შეასრულა კიდეც თავისი მისსია: რკინის გზის ლიანდაგზე დამყარდა „სრული მშვიდობიანობა". გმირი გენერალი მეტად „მხნედ მოქმედებდა". ამის დასამტკიცებლად საკმაოა ვაცნობოთ მკითხველებს, რომ მარტო ერთ სადგურზე ასამდე კაცი აღმოჩნდა მოკლული და დაჭრილი... მეორე სადგურზე რაზმის ცემით მოუკლავთ ორი ტელეგრაფისტი, მესამეზე—დაუხვრეტიათ ექვსი კაცი. დაპატიმრებულთა რიცხვს ხომ ვერავინ დასთვლის. სხვათა შორის, გენერალის საგმირო მოქმედება ერთ კერძო წერილიდგანაც სჩანს. აი, ეს წერილი რას გადმოგვცემს: მოვიდა გენერალი ერთ სადგურზე. მაშინვე დაიწყეს ჩხრეკა. ტელეგრაფის კანტორაში ჩახიზნეს ისინი, რომელნიც დეპეშებს ილებდნენ გაფიცულებისაგან. ერთ-ერთ ტელეგრაფისტს, ჯერედ თითქმის ბავშვს, უბრძანეს ტანთ ჩაცვა. საცოდავს ეგონა, ჩემი დაპატიმრება უნდათო,—ჩაიცვა და გაჰყვა უკან. გამოვიდნენ თუ არა ბაქანზე, ოფიცერმა ნიშანი მისცა და ოთხი სალდათი ეცა ჭაბუკს, გააძრო ტანისამოსი და დაუწყო უწყალოდ მათრახებით ცემა. თან ეუბნებოდნენ: „ნუ იღებ დეპეშებსაო!" მეორე ტელეგრაფისტი დააყენეს და აცქერინეს, როგორ სცემდნენ იმის ამხანაგს. ამ ამბის დამსწრენი ორი ქალი და სადგურის უფროსი ბოლომდის ვეღარ დარჩნენ, ტირილით გაიქცნენ და საცალა გაქრნენ.

მეორე სურათი: მოვიდნენ ერთ სადგურზე, დაიწყეს „საქმის" გამოძიება და გაათავეს იმითი, რომ დახვრიტეს 6 კაცი. დახვრეტამდე სტანჯავდნენ საცოდავებს იმითი, რომ სათითაოდ გამოჰყავდათ და ერთის დახვრეტას დანარჩენ ამხანაგებს აყურებინებდნენ. ასე ხვრეტავდნენ რიგ-რიგად და სცდილობდნენ პირველისავე სროლით არ მოეკლათ. დახვრეტის შემდეგ ბრძანება გასცეს, გვამები არავის წაეღო, რის გამოც გვამები კარგა ხანს გარედ ეყარა. ერთი ინჟინერი თვით გენერალმა წაიყვანა რკინის გზით. ამ ინჟინერს გზაზედ სულ იმას ეუბნებოდნენ უნდა დაგხვრიტოთო. საქმე იმითი გათავდა, რომ სიკვდილის მოლოდინით დატანჯული ინჟინერი საპყრობილეში ჩაისვეს.

ასეთ მომოქმედებით ნიჭს იჩენენ ჩვენი „დამცველები" ხალხის სატანჯველის გამოგონებაში, ასე უწყალოდ და დაუნდობლად ეპყრობიან ადამიანის სიცოცხლეს, იმ ადამიანისა, რომელიც ქვეყნის გვირგვინად ითვლება. საშუალო საუკუნოების ინკვიზიცია დაჩრდილა მეოცე საუკუნის ბარბაროსობამ.

* *

როგორც მკითხველი ჰხედავს, ტყუილი ყოფილა ზოგიერთის ლაპარაკი, ვითომ რუსეთის რევოლიუციას გმირები არა ჰყავს. ნუ გმირები არ არიან ყველა ესენი? და განა მარტო ესენი?

სხვა ჯურის გმირებითაც სახელოვანი ყოფილა რუსეთის მოძრაობა. ერთი ამისთანა გმირი გამოდგა გაპონიც. მართალია, იმისი საქმე ჯერ გამორკვეული არ არის, მაგრამ რუსეთის დედაქალაქის გაზეთების უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ გაპონი და მთელი გაპონიადა მძლეთა-მძლე ვიტტეს ქმნილება უნდა იყოსო. ირკვევა, რომ გაპონს ფული აუღია ვიტტესაგან მუშათა ორგანიზაციის მოსაწყობად, რათა მუშები დაინტერესებულიყვნენ თავიანთ ორგანიზაციით და თან მთავრობის წინააღმდეგ არ წასულიყვნენ და სოციალისტურ პარტიებსაც ჩამოშორებოდნენ. მაგრამ საქმე ბოლომდის ისე არ წავიდა, როგორც მეთაურთა სურდათ. გაპონის ორგანიზაციის ერთმა დაახლოვებულმა კაცმა, გვარად მატიუშენსკიმ ფული ჩაიგდო და გაჰქრა თურმე. ამ შემთხვევამ გამოამჟღავნა ყველაფერი. პირველად მუშა პეტროვმა ამოიღო ხმა. მას გაპონის მუშათა ორგანიზაციის წევრებმა უპასუხეს. პოლემიკა გამწვავდა. პეტროვმა გაპონი სამართალში გამოიწვია, ხოლო გაპონმა კი პეტროვი ცენტრალურ კომიტეტში მიიწვია; პეტროვმა ამაზედ უარი სთქვა და განაცხადა, მეშინიან გაპონმა ის საქმე არ დამმართოს, რაც მუშა გრიგორიევსაო. ეს გრიგორიევი 1905 წელს 9 იანვარს გაპონის მარჯვენა ხელი იყო. როდესაც გაპონმა აიფარა გაიძრო, გრიგორიევმა თავისი ტანისამოსი მისცა. მაგრამ ერთი მეშის საქმის გამო გაპონის საქციელი გრიგორიევს არ მოეწონა და პირში უსაყვედურა. გაპონი გაბრაზდა, დაუწყო გრიგორიევს ყვირილი, მერე ხელები შეაკვრევინა და ლანძღვითა და გინებით გამოაგდო ცენტრალურ კომიტეტის სადგომიდან. ამის შემდეგ გრიგორიევი პეტროვთან შევარდნილა, იმდენად აღელვებული, რომ ლაპარაკიც-კი ვეღარ მოუხერხებია. მალე გრიგორიევი დააპატიმრეს კიდეც. აი, ასეთ საქმეებისა მეშინიაო, ამბობს პეტროვი—მით უმეტეს, რომ ეხლა ვილაცა აგენტიც დამდევს აჩრდილისავით: ვშიშობ, რომ ესეც გაპონის საქმეაო. პეტროვი თავის წერილის დასასრულ კიდევ სამართალში იწვევს გაპონს. მხოლოდ ამის შემდეგ დასთანხმდა გაპონი სამართალში გასვლას. ამჟამად სამი ცნობილი საზოგადო მოღვაწე უკვე ამორჩეულია საქმის გასარჩევად და მალე საზოგადოება მართალს გაიგებს გაპონის საქმის შესახებ.

მეორე ამგვარივე გმირი უშაკოვია, რომელზედაც წინა ფელეტონში უკვე გვქონდა ლაპარაკი. ეხლა ამ უშაკოვის საქმეც ირკვევა, ხოლო იმის მიერ დაარსებული „დამოკიდებულ სოციალისტთა" ორგანიზაცია იშლება. უკვე ვწერდით, რომ უშაკოვს კავშირი ჰქონია პოლიციასთან. ეხლა საბუთით გამოირკვა, რაგვარი კავშირი ჰქონდა და როგორ მოაწყო კავშირი. ერთი საფაბრიკო ზედამხედველი, გვარად ლიტვინოვ-ფალინსკი, კარგი ნაცნობი ყოფილა უშაკოვისა. როდესაც საიდუმლო პოლიციის სადგომში („ოხრანკაში") იწვევდნენ იმ მუშებს, რომელნიც „მავნე პირებად" ითვლებოდნენ, ლიტვინოვ-ფალინსკი საგანგებოდ გაკეთებულ ნახვრეტიდან უცქერდა მუშებს და იხსომებდა იმათ სახეს. ამგვარად შეისწავლა, ვინ იყო მოძრაობის მეთავე. შემდეგ ინსპექტორობას თავი დაანება და უშაკოვს დააარსებინა „დამოუკიდებელთა" პარტია. (თვითონ ვერ მოახერხა, რადგან ერთხელ, ერთ მუშასთან ლაპარაკის დროს, საქმე იქამდის მიიყვანა, რომ იძულებული გახდა ქარხნის ფანჯრიდან გადმხტარიყო). უშაკოვს იგი ფულით ეხმარებოდა. თვით მატიუშენსკისაც გაპონის ორგანიზაციისათვის ამისგან მიუღია ფული.

ამგვარად, რუსეთის მუშათა მოძრაობის ისტორიას თანა სდევს მომწამვლელი შხამი პროვოკაციისა: ჯერ ზუბატოვი, ახლა, თუ გამართლდა, რასაკვირველია, გაპონი და უშაკოვი. ამბობენ, უშაკოვს ორგანიზაციის შექმნაც ვიტტეს საქმეაო. სადღაც ისიცა სთქვეს, რომ ვიტტემ შექმნა გაპონის მუშების მთელი მოძრაობაო. მოგეხსენებათ, ზოგი იმ აზრისაა, რომ ისტორიას პიროვნება ჰქმნისო. ვიტტემაც გაამართლა ეს. მართლა რომ ამისთანა საკანდალო ისტორიების შექმნა მხოლოდ ვიტტესთანა კაცს თუ შეუძლიან. ეს კია, ვისი შექმნილიც უნდა იყოს ეს ისტორია, 9 იანვარმა თავისი როლი შეასრულა ისტორიაში და იმის გავლენას ვეღარავინ ვერ აღმოფხვრის.

* *

ასეთის რიგით მოქმედებს ბიუროკრატია. იგი ჯიუტად ადგას ერთხელ და სამუდამოდ არჩეულ გზას, მუშა ხალხის სისხლითა და ოფლით მონაგარ ფულს ინკვიზიციასა და პროვოკაციაზე ჰფლანგავს... თუმცა, როგორც გაზეთები გვამცნობენ, ცოტად ბიუროკრატიაც მიმხვდარა, რომ მარტო ამ ორ ძალაზე სახელმწიფოს კეთილდღეობის

რუკოვი დავნიშნოთ კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსადაო.

◆ **ივანე გომართელი.** ექიმი ივანე გომართელი, რომელსაც ქუთაისის ადმინისტრაცია დაეძებს, როგორც გადმოგვცეს, ამჟამად შვეიცარიაშია. ქ. ჟენევაში ექიმად ადგილიც უშოვნია.

◆ **მიხეილის საავადმყოფო.** ტფ. გუბერნატორმა აცნობა გუშინ ქალაქის მოურავს უკიდურესი მდგომარეობა მიხეილის საავადმყოფოსი. გუბერნატორი სწერს გამგეობას, დააჩქაროს დროებით საავადმყოფოს დაარსება.

◆ **ეგზარხოსის ჩამოსვლა.** თანახმად პეტერბურგიდან მიღებულ ცნობებისა, საქართველოს ეგზარხოსი ნიკოლოზის გადაყვანა ნიჟნი-ნოვგოროდში ტყუილი გამოდგა. ეგზარხოსს ტფილისში სააღდგომოდ მოელიან.

◆ **გუბერნატორის ბრძანება.** ტფ. გუბერნატორმა გუშინ წინადადება მისცა ქალაქის მოურავს, შეაჩეროს საბჭოს დადგენილება იმ 5000 მანეთის გადადების შესახებ, რომელიც ტფილისში „მომხდარ უწესოების“ დროს დაზარალებულთ უნდა მოხმარდეთ. გუბერნატორი სწერს, მაცნობეთ რომელ უწესოებაზეა ლაპარაკი და ვის უნდა მიეცეს ეს 5000 მანეთიო.

◆ **ახალი გაზეთი.** დაკეტილ ჟურნალის „ეკურეკუს“ რედაქტორს ერიციანს ნება მიეცა გამოსცეს მეორე იუმორისტული ყოველკვირეული გაზეთი „ეგუტ“. გაზეთი გამოვა ამ თვის ბოლო რიცხვებში.

◆ **ქურდობა არ ისპობა.** ვერც სამხედრო დარაჯები შველიან ამიერ კავკასიის რკინის გზას და ქურდობას ვერა სპობენ. როდესაც ნიგოითის სადგურზე საქონლის მატარებელი მივიდა, ვაგონი გახსნილი აღმოჩნდა. გასინჯეს და ორი შეკვრა ხალიჩა აკლდა. სად. ხაშურშიაც ვაგონში არ აღმოჩნდა სხვა და სხვა საქონელი, 55 ფუთი.

საჯარო ვაჭრობა. ტფ. სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკში, 8 მარტს, დაიწყო ვაჭრობა ქ. ტფილისის მამულებისა. სულ გასასყიდად დანიშნული იყო 22 მამული. აქედან გაიყიდა 9 მამული. ამ ცხრა მამულისაგან 5 ქართველისაა, 2 რუსისა, 1 სომხისა და 1 გერმანელისა. გაუსყიდავ 13 მამულზე დარჩა თავნი ვალი 140 ათას მანათამდის. განმეორებითი ვაჭრობა დანიშნულია 29 მარტს.

◆ **პატრულის დარჩენა.** ავჭალის წყლისაყვანის გამგემ ინჟ. ლისიციანმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, დაარჩინოს 10 სალდათი და 1 უნტერ-აფიცერი წყლის მილის სადარაჯოდ. გამგეობამ შეიწყნარა ეს შუამდგომლობა და თავის მხრივ სთხოვა გენერალ-გუბერნატორს, რომ იმანაც დაამტკიცოს ქალაქის ეს გადაწყვეტილება.

◆ **მშობელთა რწმუნებულნი.** ვაჟთა პირველ გიმნაზიაში დასრულდა არჩევნები მშობელთა რწმუნებულებისა, რომელთაც გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭოში მონაწილეობა უნდა მიიღონ, როგორც წევრებმა. არჩეულ იქმნენ ნ. ე. არღუთინსკი და დ. ა. თუმანოვი.

◆ **პასპორტით ვაჭრობა.** როგორც ახალსენაკიდან გვატყობინებენ, ადგილობრივ ადმინისტრაციის განკარგულებით ბაზარზე უპასპორტოთ შეშის ვაჭრობის ნებას არ აძლევენ გლეხებს.

◆ ბ-ნმა მეხუზლამ, რომელიც ქალაქს ბამბაკიდან მასკარწყლის ქვას აწვდის, სთხოვა ქალ. გამგეობას დაეცადოს ქალაქს ქვის მიტანა 1907 წლამდე, რადგან სომეხ-თათართა ბრძოლამ ხელი შეუშალა. გამგეობამ დაადგინა, ვადა მოიჯარადრეს სამი თვით გადუდოს. ამასთანავე ისიც დაადგინა, ბამბაკში რწმუნებული გაგზავნოს იმის გასაგებად, მოიჯარადრე შეუდგა თუ არა მუშაობას.

◆ გუშინ წინ 8 მარტს, დილის ამბით აკურთხეს „კავკასკი გოლოსის“ რედაქცია. აკურთხევას არ დაესწრო სული და გული პატრიოტულ საზოგადოებისა გოროდცევი, თუმცა მასთან გაგზავნეს დეპუტაცია.

◆ ქართლის [illegible] გუბერნატორს სურამის ბოქაულად დაუნიშნავს ტფ. პოლიციის პირველ ნაწილის უბნის ზედამხედველი პეტროვსკი.

◆ ტფილისის მაზრის უფროსმა დასამტკიცებლად წარუდგინა გუბერნატორს დიღმის მამასახლისად შამეჩაშვილი ხოლო კანდიდატად მზევაშვილი.

◆ მივიღეთ ახალი წიგნი „დედაკაცი,“ თარგმანი ა. დომითაძისა, გამოცემა ვ. გადილის წ. მაღაზიისა. ფასი 6 კაპ.

◆ ქალაქის გამგეობამ ქალაქის იურისკონსულტს ტერ-სტეფანოვს საწამლებლად 500 მანათით დახმარება აღმოუჩინა.

◆ ბ-ნს მღ. ავალიანს გადაუთარგმნია ინგლისელ მწერლის ვ. ხ. მელლოკის თხზულება „სოციალური თანასწორობა.“ ეს წიგნი მალე დაიბეჭდება და გამოვა.

◆ ტფ. ქალაქის გამგეობამ ნება დართო ვაჭრებს ისე როგორც თათრის მოედანზე, დესიმონის ჩოლდანზედაც ჰყიდონ ქერი და სხვა ხორბლეული. პოლიცმეისტერი აქამდე ნებას არ აძლევდა აქ ქერის გაყიდვისას, ამიტომ გამგეობამ შეატყობინა პოლიცმეისტერს გამგეობის ასეთი გადაწყვეტილება.

◆ განჯა. 4 მარტს, მე-478 ვერსის დარაჯს დაეცა ოთხი შეიარაღებული კაცი. რაც კი ებადა ხელ წაართვეს. 7 მარტს მე-815 ვერსის დარაჯს დაეცა ათი შეიარაღებული კაცი. დაუწყეს სახლის კარებს მტვრევა. ამ დროს მატარებელი მოდიოდა დარაჯმა ფანჯრიდან წითელი ფანარი აჩვენა, მატარებელი გაჩერდა და ავაზაკები გაიქცნენ.

ქუთაისის ამბები

◆ დეპეშით გაცნობეთ, რომ ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციონალ-დემოკრატიულ პარტიის კრება არ შესდგა მეთქი წევრების სიმცირის გამო. კრება თეატრში იყო დანიშნული დილის ათ საათზე. 12 საათი შესრულდა და თეატრის მახლობლად შეიკრიბა ოცამდე კაცი, რომელთაც მოილაპარაკეს და შესაძლებლად ვერა სცნეს კრების გახსნა, რაც პარტიის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილემ დ. კვირკველიამ აცნობა შეკრებილთ და ისიც აუწყა, რომ კრება ხელმეორედ იქნება მოწვეული, ხოლო კრების დღის დანიშვნა ეხლა შეუძლებელია, რადგან ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ საროდითი მოგვცემს ნებართვას კრების მოსაწვევად გუბერნატორი. საკვირველია ამ პარტიის სვე-ბედი. დაიბადა ისეთ დროს, რომ აქტიური მოქმედობა, თუ-კი შეეძლო გამოჩენა, ძალა-უნებურად შესწყვიტა უკანასკნელ ხანებამდე, როდესაც კრების მოსაწვევად შესაფერი ნებართვა აიღო მთავრობისაგან. კაცს უნდა ეფიქრა, რომ ამისთანა პირობებში კრებას ისინი მაინც უნდა დასწრებოდნენ, ვინც პარტიის სულსა და გულს შეადგენენ, ე. ი. საბჭოსა და ბიუროს წევრები, რომელთა რიცხვი ერთად 30 კაცს აღემატება. ამას მაგივრად გამოცხადდა თავმჯდომარე და რამდენიმე წევრი საბჭოსი და ბიუროსი. კაცს რომ ეკითხა ამ პარტიის წევრთათვის მაშინ, როდესაც პარტია პირველად შესდგა, წევრად 500 კაცზე მეტი ჩაეწერაო. მერე სად არიან ეს წევრნი, რატომ მეათედი მაინც არ გამოცხადდა ამ პირთაგან? ვიკითხე მიზეზი ასეთ აბსენტიზმისა და მრავალგვარი პასუხი მივიღე. ერთმა მიზეზად მრავალთაგან ყბად აღებული გაზეთები დაასახელა: „ვინ მოვა კრებაზე, როცა მთელმა ჩვენმა პრესამ უარყოფითი აზრი გამოსთქვა არჩევნების შესახებ: წაიკითხა, ბატონო, შეშინებულმა ხალხმა გაზეთები და ვიღა გაბედავს მოსვლას, მით უმეტესად მემარცხენე პარტიებმა ბოიკოტი გამოუცხადეს სახელმწიფო სათათბიროსაო“. „არა, ბატონო, სთქვა მეორემ, აქ პრესა და პარტიები არაფერ შუაში არიან—მიიხედ მოიხედეთ, დააკვირდით, რაც ჩვენ გარშემო ხდება, და მაშინ მიხვდებით, რატომ არ მოვიდა ხალხი. ყველამ კარგად იცის, სულ უბრალო შემთხვევა საკმაოა, რომ ჯარი შემოგვეხვიოს და რაც უარესია, ის გვიყოს. ამას ერიდება ყველა და იმიტომ არ მოვიდა ხალხიო“. ჩვენის ფიქრით, დასახელებულ მიზეზებს თავის გავლენა აქვს ხალხის სულის კვეთებაზე, მაგრამ მთავარი მიზეზი აბსენტიზმისა ის არის, რომ ხალხი არ თანაუგრძნობს პარტიის მისწრაფებას და ამისთანა შემთხვევაში ძალაობით ვერ მიიზიდავთ.

◆ საგლეხო საკრებულოს წევრი ზისერმანი გუბერნატორის მინდობილობით სამოგზაუროდ წავიდა გუბერნიაში იმ აზრით, რომ გამოარკვიოს, რა პირობებში მოხდა ხალხისა და საპოლიციო დარაჯების შეტაკება, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ ხალხმა პოლიციის დარაჯებს იარაღი აჰყარა. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ზისერმანი ამავე დროს გამოიკვლევს იმას, თუ რა ზომებს ღებულობდა სამაზრო ადმინისტრაცია იარაღის აყრის წინააღმდეგ.

◆ ოზურგეთის მაზრის უფროსის თანაშემწედ ინიშნება ბოქაულად ახლად დანიშნული გვირიმიანი. ამ ერთი წლის წინად გვირიმიანი უბნის ზედამხედველად იყო ქუთაისში.

◆ ქალაქის დაცვისათვის მოწვეულმა მილიციონერებმა იმ დროს, როცა პოლიციის დარაჯები გაიფანტნენ და ქალაქი უპატრონოდ დარჩა, 6 მარტს საჩივარი შეიტანეს გენერალ ალიხანოვთან, რომ ის კომისია, რომელსაც ქალაქის დაცვა ჰქონდა მინდობილი, არ გვისწორდებაო. ესენი დარჩენილი ფულის გადახდევინებას სთხოვენ. ამ საგნის გამოსარკვევად შევეკითხეთ კომისიის ერთ წევრს, რომელმაც აგვიხსნა შემდეგი: დეკემბრის ჯამაგირი ყველამ სრულად მიიღო; მილიციის მოქმედება შეწყდა 9 იანვარს, როდესაც სამხედრო წესები შემოიღეს. ამ ცხრა დღის ჯამაგირი არ მიგვიცია, მაგრამ სამაგიეროდ თითოეულმა მცველმა, როცა სამსახურში მივიღეთ, ტანისამოსის სასყიდლად 20 მანეთი მიიღო და ზოგიერთმა მათგანმა—რევოლვერიც. რევოლვერი არავის დაუბრუნებია და ტანისამოსის ფულის მითვისების გარდა ცხრა თვის ჯამაგირსაც გვთხოვენ. ერთიც უნდათ დალოცვილებს და მეორეც და იმას კი არ კითხულობენ, გვაქვს თუ არა სალარი. რომ დაგვრჩენოდა რამე, სიამოვნებით მივცემდით და ეხლა იმათ რა მივცეთ, ჩვენ რომ არაფერი გვაქვსო.

◆ 8 მარტს დილით სამხედრო მატარებლით გენერალი ალიხანოვი ახალსენაკში წავიდა. ალიხანოვს თან ახლავს დიდი ამალა: ტფ. გრენადერის პოლკის ოცდა-ათი აფიცერი, ოთხასი ჯარის კაცი ასის ცხენით.

◆ მაზრების საარჩევნო კომისიები უკვე შესდგა და ამ ორ დღეში შეუდგებიან ამომრჩეველთა სიების შესწორებას და შედგენას. კომისიებს შეადგენენ: მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლები, მომრიგებელი მოსამართლენი, მომრიგებელი შუამავალნი, გადასახადთა ინსპექტორები და იმ ქალაქებში, საცა თვითმმართველობაა—ქალაქის თავები. კომისიების თავმჯდომარეებად დანიშნეს ოლქის სასამართლოს წევრები: შორაპნის მაზრაში—მ. მღვდლისშვილი, ქუთაისისაში—ტვერდი, ოზურგეთისაში—პავლე სმირნოვი, ლეჩხუმისაში—პეტრე სმირნოვი, ზუგდიდისაში—ს. სტეფანოვი, რაჭისაში—კუზმენკო, სენაკისაში—ნეპოვლიჩიცკი, ბათუმისაში—ლევეცკი, სოხუმისაში—ალექსეევი და ართვინისაში—შოსტაკი. საგუბერნიო კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულია, ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე დიატროპტოვი.

◆ მომრიგებელ შუამავლებს მოწერილობა მოუვიდათ გენერალ-გუბერნატორისაგან. გენერალი ავალებს მცირე ხანში შეადგინონ სიები იმ გლეხებისა, რომელთაც აქამდის არ გადაუხდიათ სანადელო გადასახადი.

◆ როგორც ისმის, თავად-აზნაურთა მხრით სახელმწიფო საბჭოს წევრების ამომრჩეველთა კანდიდატებად დასახელებულნი არიან ა. მ. ერისთავი, და ვ. ს. მიქელაძე. სიყვარულმა არჩევნებისა და კენჭაობისადმი უკვე იჩინა თავი. ჯერ ამომრჩეველთა სიების შედგენისათვის ხელი არ მიუყვიათ და გაცხარებული ლაპარაკი-კია კანდიდატების შესახებ. სადეპუტაციოთ სახელმწიფო სათათბიროში მრავალ ხალხს ასახელებენ და მათ შორის ნ. ი. ნიკოლაძეს, ვ. ს. მიქელაძეს, დ. ა. ლორთქიფანიძეს, ვ. ა. სტაროსელსკის, გ. ფ. ზდანოვიჩს და ო. თ. დადეშკელიანს. უკანასკნელს თურმე გადაწყვეტილი აქვს კენჭი იყაროს დეპუტატობაზე.

◆ ქუთაისის ქალების გიმნაზიის უფროსი დაუბარებია გენერალ-ალიხანოვს და უცნობებია, რომ მოსწავლენი თავის თავს ნებას აძლევენ თურმე და სასწავლებელში სარევოლიუციო სიმღერებს მღერიან. თუ [illegible] საქალაქოს მოსწავლეებისას ყურადღებას არ მიაქცევთ და სარევოლიუციო [illegible] მღერა სასწავლებელში არ მოისპობა, იძულებული ვიქნები სასტიკი ზომები მივიღოო.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი, 8 მარტი. სოციალ-პოლიტიკურ კლუბში სტაროსელსკიმ წაიკითხა მოხსენება ამიერ-კავკასიის ერთა და ჩვენს მხარეში სარევოლიუციო მოძრაობის მიზეზთა შესახებ.

შმიდტის უკანასკნელი სიტყვები იყო: „იმისთანები, როგორც მე, ბევრია რუსეთში და კიდევ მეტი იქნება ახლო მომავალში. უბრძანეთ, რომ პირდაპირ გულში დაუმიზნონ და მესროლონ“... შმიდტის დახვრეტა დიდ აღშფოთებას იწვევს საზოგადოებაში; ცნობები მოდის, რომ პროვინციაზედაც ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა შმიდტის სასტიკმა დასჯამ; ხმა არის, რომ შავი ზღვის ესკადრაში შფოთი იწყება. სასულიერო აკადემიაში გადაიხდეს პანაშვიდი შმიდტის სულის მოსახსენებლად.

ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ მმართველობის ცნობებით, ფოსტის მოხელეთა შორის ისევ დაიწყო მღელვარება ციმბირს, ხარკოვს და ზოგიერთ სხვა ადგილებში. გაძლიერეს თვალ-ყურის დევნა.

არხანგელსკის გუბერნიის მაგიერ პოლიტიკურ პატიმართ ტობოლსკის გუბერნიაში გზავნიან.

დურნოვომ უბრძანა ცენზურას, აღარ დაბეჭდონ დეპეშები სათათბიროს წევრთა არჩევნების ცუდის შედეგის შესახებაო.

მოსკოვის მოსამართლეები პროტესტს აცხადებენ სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

ახლად გამოცხადებული კანონი საზოგადოებათა, კავშირთა და კრებათა შესახებ განმეორებაა ოქტომბერში შემოღებულ დროებით წესებისა.

ფინლიანდია აივსო რუს ემიგრანტებით. იგზავნება ჯარი.

სახელმწიფო საბჭოს სხდომები დაიწყება სათათბიროს სხდომებთან ერთად.

უკანასკნელ დღეებში გაზეთებმა უფრო ძლიერად აიმაღლეს ხმა მთავრობის წინააღმდეგ.

რუსეთი

ფინლიანდიის ვითარება. მთავრობა ფინლიანდიამ ძალიან საგონებელში ჩააგდო, რადგან საქმის გართულებას მოელიან. ფიქრობენ, რომ მთავრობას ფინლიანდიაში გალაშქრება აქვს განზრახული და ამისთვის ორ კორპუსს ჰგზავნისო. ზოგნი ეჭვის თვალით უყურებენ ამას, რადგან ფინლიანდია კარგად არის გამაგრებული და მდებარეობაც ისეთი აქვს, რომ ფინლიანდიაში რეგულიარულ ჯარს მოქმედება ძალიან გაუჭირდება. (რ. ს.).

ტერორისტების დაჭერა. როგორც ხმა დადის, 25 თებერვალს მოსკოვის ერთ სასტუმროში დაუჭერიათ ორმოცამდის სოციალისტ-რევოლიუციონერი. დაპატიმრებუ-

---

დამყარება ვერ მოხერხდება. ისიც მიმხვდარა ეხლა, რომ საჭიროა ხალხში ნდობის მოპოვება, ხოლო ამისთვის პროვოკაცია არა კმარა და საჭიროა აგიტაცია და დარიგებაც.

გაზეთი „რუს. ვედ.“-ი გადმოგვცემს, რომ, შინაგან საქმეთა მინისტრის წინადადების თანახმად, ერთმა გუბერნატორმა მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლებს დაუგზავნა ცირკულიარი და სთხოვს, მოაწყონ მაზრებში განსაკუთრებული კომიტეტები პოლიტიკურ აგიტაციისათვის, მთავრობის სასარგებლო აზრების გასავრცელებლად და რევოლიუციონურ მოძრაობასთან საბრძოლველად. ამ ცირკულიარის სიტყვით „რევოლიუციონურ პროპაგანდას ჯარისა და პოლიციის გამოწვევის გარდა სხვა არავითარ წინააღმდეგობას არ უწევენ“. მაგრამ „ამდენიც უნდა იყოს ჯარი და შეიარაღებული დარაჯი და ამ მხრივ რაც უნდა წესიერად და შეუცდომლად მოიქცეს მთავრობა „საქმისთვის საკმაო არ იქნება. საჭიროა სხვა საშუალებაცაო“. შემდეგ ცირკულიარში ნათქვამია, რომ ვერც პოლიცია და ვერც საერობო უფროსები ვერ აასრულებენ იმას, რაც რევოლიუციასთან საბრძოლველად არის საჭირო. ამ საქმის შესრულება შეუძლიან მხოლოდ საზოგადოებას. ამიტომ საჭიროა საზოგადოების დახმარება. „საჭიროა, რომ თვით მცხოვრებთ შეიგნონ მთავრობის ზომების საჭიროება და შეგნებით შეუერთდნენ მას“. აი ამ აზრით იძლევა წინადადებას გუბერნატორი, დაარსდეს მაზრებში კომიტეტები თავადაზნაურთა წინამძღოლების თავმჯდომარეობით. ამ კომიტეტების წევრებად უნდა იყვნენ ისეთი პირნი, რომელთაც საზოგადოება ნდობით ეპყრობა. კომიტეტებმა უნდა გააცნონ მცხოვრებთ ყველა ის ზომა, რომელიც საჭიროა და თანახმაა 17 ოქტომბრისა და 3 ნოემბრის მანიფესტისა.

ბევრის რიხიანობისა და ულმობელ ქცევის შემდეგ მთავრობამ მაინც საზოგადოებას მიმართა. შეიგნო, რა ზნეობრივი ძალაც აქვს განმათავისუფლებელ მოძრაობასა, მიხვდა, რომ ზნეობრივ ძალას ვერ დასძლევს ფიზიკურითა და სცდილობს, გარდა ფიზიკურისა, ზნეობრივი ძალაც მოიპოვოს ხალხის თვალში. საქმე იქამდის მივიდა, რომ იარაღიც-კი მოწინააღმდეგისა აჯობინა—აგიტაცია. მაგრამ განა გვიან არ არის ესა? საზოგადოებას უკვე ყოველივე იმედი გადაუწყდა, ყოველივე ნდობა დაეკარგა. იგი დიდი ხანია ამბობს, თუ რევოლიუცია არ გინდათ, ენდეთ საზოგადოებას და თავისი ბედი თვითონ მასვე გადააწყვეტინეთო. ეხლა თვით მთავრობას შეუგნია ეს, ისიც მხოლოდ ნახევრად, მაგრამ ეხლა, ესოდენ სისხლისა და აწიოკების შემდეგ განა ნდობა შესაძლებელია!..

* *

ეს კი როგორც იყო შეიგნო მთავრობამ, თუმცა მხოლოდ ნახევრად, მაგრამ იმას მაინც ვერ მიხვდა, რა გავლენა აქვს შიმშილს ხალხზე. ამდენმა მაგალითებმა ვერ დაანახვა, რომ, ვიდრე ხალხს კუჭი ცოტად მაინც არ გაუძღება, დამშვიდებაზე ფიქრი არ შეიძლება: ვერ შეუგნია, რომ საჭიროა უწინარეს ყოვლისა ფართო სოციალურ რეფორმებზე იფიქროს, თორემ შიმშილი არა თუ საბრძოლველად გამოიყვანს ხალხს, თავის რწმენის წინააღმდეგაც-კი ყოველსავე საქციელს ჩაადენინებს.

ერთი ამგვარი მაგალითი თვალ-წინა გვაქვს ქ. რიაზანში 2 თებერვალს მოსკოვის სასამართლო პალატამ წოდებათა წარმომადგენლების თანდასწრებით გაარჩია საქმე 71 გლეხისა, რომელთაც მემამულის ბეღლება ჰბრალდებოდათ. იმ მაზრაში, რომლის მცხოვრებნიც ეს გლეხები არიან, 1904 წელს საშინელი შიმშილობა ჩამოვარდნილა. სექტემბრიდანვე დასჭირდათ გლეხებს დახმარება, მაგრამ მარტამდის ვერა თხოვნამ ვერ გასჭრა და მხოლოდ მარტში მისცეს ისიც სასოფლო მაღაზიიდან, თითო ფუთი თითო მიზრდილ სულზე, და ნახევარ-ნახევარი ფუთი—ბავშვზე. ეს რასაკვირველია, საკმაო არ იყო. მომავლისადაც დიდი იმედი არა ჰქონდათ გლეხებს, რადგან დათესვით კი დათესეს, მაგრამ მოსავალს პირი არ უჩნდა. ასე გასინჯეთ მემამულეებიც კი არ შეეკრნენ მათ პირობით პურის მომკის შესახებ, როგორც ჩვეულებრივ შვრებიან ხოლმე. საერობო უფროსთა კრებამაც საგუბერნიო საკრებულოს წინაშე შუამდგომლობა აღძრა დახმარების შესახებ, მაგრამ პასუხად მიიღო: გლეხებმა გაჰყიდონ მეტი საქონელიო, თითქოს გლეხებს საზოგადოდ ჰყავდეთ მეტი საქონელიო. ესეც არ იყოს, შიმშილობის დროს საქონელი ისე გახდა, რომ არავინ არა ჰყიდულობდა. ამის შემდეგ გლეხებმა მემამულეებს მიმართეს და პური სესხად სთხოვეს, მაგრამ მემამულეებმა უარი უთხრეს; გლეხები მეორედ წავიდნენ სათხოვნელად და, როდესაც დაინახეს, რომ მოურავი კიდევ უარზედ იდგა და მხოლოდ ფშვრიას სთავაზობდა, დაუკითხველად მიადგნენ ერთ ბეღელს, ამოიღეს პური და წაიღეს. დანარჩენს არაფერს ხელი არ ახლეს. რამდენისამე ხნის შემდეგ წამოვიდა მეორე პარტია პურის წასაღებად, მაგრამ ამათ უკვე დაჰხვდათ საერობო უფროსი და ისპრავნიკი გამომძიებლითურთ. ამ „მთავრობამ“ მაშინვე მიჰყო ხელი გამოძიებას. მოწმეთა ჩვენებიდან აღმოჩნდა, რომ გლეხთა უმრავლესობას სრულიად არა ჰქონია საჭმელი: არც პური და არც სხვა რამე. გლეხებმა ყოველი ლეგალური საშუალება სცადეს პურის საშოვნელად და მხოლოდ მაშინ, როდესაც ვერსად ვერაფერს გახდნენ, წაიღეს პური. გლეხებს სამი დამცველი ჰყავდათ და სამივე იმას ამტკიცებდა, რომ ეს საქციელი არ არის ჩვეულებრივი დანაშაული; ერთი ვექილი ამტკიცებდა, რომ შიმშილის გავლენით გლეხები შეიძლება სრულ გონებაზედაც არ იყვნენო. იგივე ვექილი ამბობდა, რომ ამჟამად რუსეთში ისეთი ხანაა, როდესაც კანონი და საზოგადოების აზრი ერთმანეთს ეწინააღმდეგებაო, და ამიტომ თხოულობდა, რომ მსაჯულები სასტიკად არ მოჰქცეოდნენ დამნაშავეებს. მსაჯულებმა 26 კაცი სრულიად გაამართლეს. ეტყობა მსაჯულებიც მიხვდნენ, რომ შიმშილი ძნელია, მაგრამ ყველასი გამართლება მაინც ვერ გაბედეს. ამგვარად შიმშილს თვითონ შეუძლიან რევოლიუციონურ საქციელამდი მიიყვანოს ხალხი და, თუმცა ვექილი ამტკიცებდა, რომ გლეხების მოქმედებაში კლასიური შეგნება არა ჩანსო, მაგრამ ორიოდე ამისთანა შემთხვევა აუცილებლად კლასიურ შეგნებამდისაც მიიყვანს გლეხს. ეს უნდა ახლოვდეს, ვისაც ჯერ არს.

* *

და რომ ეს მართლაც დასაფიქრებელია, ამას სინამდვილეც გვიჩვენებს. იმდენ „სასტიკ“ ზომებისა და სხვადა სხვა დამსჯელ რაზმების მოქმედების შემდეგ, რაც ამ უკანასკნელ ორ თვეს ვნახეთ, ყოველივე მოძრაობა უნდა ჩამქრალიყო. ნამდვილად კი, როგორც გაზეთებიდანა სჩანს, ცხოვრების გულში დიდი ცეცხლი ტრიალებს. საერთო სასოწარკვეთილებამდის, ბიუროკრატიის სამწუხაროდ, ჯერ კიდევ შორს არის და ამისი მიზეზი ისევ მთავრობისადმი უნდობლობა უნდა იყოს. ხალხი უფრო და უფრო რწმუნდება, რომ ბიუროკრატიას არ ძალუძს იმის საჭიროებათა დაკმაყოფილება. ეს საჭიროება კი ისე ძლიერია, რომ უიმისოდ, როგორც უჰაეროდ, ვერ იცოცხლებს ხალხი. საერთო სიჩუმეში აქა-იქ ყრუდ გაისმის ხალხის ხმა, რაიცა გვიმტკიცებს, რომ ხალხს არა სძინავს. აი ამას წინად ვარშავაში ერთ რევოლიუციონერის დასაფლავებაზე 20,000 მუშამ მოიყარა თავი, პოლიცია-კი არსად იყო. დიდმნიშვნელოვანი ფაქტია ის გარემოება, რომ ამისთანა შავბნელ დროს ასეთი დემონსტრაცია შესაძლო ხდება.

შიდა რუსეთიდანაც გვატყობინებენ, რომ გლეხები ამ ბოლო დროს უფრო და უფრო იღვიძებენ. „დარაჯების ინსტიტუტის“ შემოღების შემდეგ გლეხთა უკმაყოფილობა დღითი დღე იზრდება... სწორედ გიკვირს საიდან რა გამოტყვრა? სიბრაზე, საშინელი სიძულვილი და შურისძიება“. ასე სწერს ერთის გაზეთის კორესპონდენტი. მართალია, ადმინისტრაციასაც არა სძინავს, ბევრი დაპატიმრებაა და ბევრსაც აპატიმრებს, მაგრამ ეს უფრო აღიზიანებს გლეხებს, რომ ამას წინად მარტო ერთი ვოლოსტიდან 135 კაცი ჩაწერილა „გლეხთა კავშირში“. მთავრობასთან საბრძოლველად გლეხებისაგან მოდის და მოდის შეწირულება. სოფლებში ხშირად გაიგონებთ „მარსელიეზს“. „ციხე, რისხვა და მეხიც რომ დაგვატყდეს, არ მივცემთ უკან მოპოვებულ თავისუფლებასაო“, ამბობენ თურმე გლეხები. საქმე ასეა და მხოლოდ მთავრობას არ ესმის ის, რომ ვერავითარ ხელოვნურ ზომებით ვერ შეაყენებს კიდით-კიდემდე აბობოქრებულ ზღვას.

* *

ამიტომაც ჯეროვნად აფასებენ ყველგან ბიუროკრატიის ზომებს. ინგლისური გაზეთი, „ტრიბუნა“, რომელიც რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დამახინჯებულ პარლამენტს ეძახის, სხვათა შორის, ამბობს, რომ ბიუროკრატიამ საქრომები დაიჩინა დროებით კანონების გამოცემის უფლების სახითაო. გაზეთი ოხუნჯობს, სათათბიროს დეპუტატებს ალბად წილის ყრა მოუხდებათ იმაზე, თუ ვინ წარმოსთქვას უკანასკნელი სიტყვა, რომ ამ უკანასკნელ სიტყვის დროს დანარჩენთ სახლის გარედ გაქცევა მოასწრონ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში გათავდება თუ არა სათათბიროს სესსია, ოპოზიციის წარმომადგენელნი საპყრობილეში ამოჰყოფენ თავსაო.

გ. ნ.

ლებთან აღმოუჩენიათ ასაფეთქებელი მასალა. ფიქრობენ, რომ ესენი ალბად დიდ ტერორისტულ აქტს ამზადებდნენ.

აკრძალვა. „რუსკ. ვედ.“-ი გადმოგვცემს, რომ ტელეგრაფისტები არ უშვებენ ტელეგრამმებს რედაქციების სახელობაზე და ამას იმით ასაბუთებენ, რომ გუბერნატორის განკარგულებაა, არ გაუშვან დეპეშები რედაქციების სახელობაზედ ადგილობრივ ადმინისტრაციის მოქმედების შესახებ.

წამება ვარშავაში ვარშავის საიდუმლო პოლიციის უფროსი, გვარად გრიუნი თურმე პოლიტიკურ პატიმართ აწამებს ჩვენების ჩამორთმევის დროს. წამება ასე ხდება: ჯერ პატიმარს სცემენ ჯოხებით ოთხი დღე-ღამის განმავლობაში; მერე წყურვილით სტანჯვენ, შემდეგ ძალით ასმევენ არაყს; მერე სათითაოდ აძრობენ თავიდან თმებს და ბოლოს სტოლიდან ახტუნავებენ იატაკზე. ამ გვარად ბევრი ტყუილი ჩვენება ჩამოურთმევია თურმე გრიუნს.

პროვოკაცია, თუ გაფრთხილება? მოსკოვის გაზეთებში შემდეგი გაფრთხილებაა დაბეჭდილი: „ამბობენ, რომ სატახტო ქალაქში არიგებენ უსახელო წერილებს, რომელშიაც აფრთხილებენ ხალხს, არ გამოხვიდეთ 18 მარტს არჩევნებზე, რადგან უკიდურეს პარტიებს განზრახვა აქვთ ამ დღეს ჩაშალონ არჩევნების საქმე.

წერილი რედაქციის მიმართ

გაზეთებში წავიკითხეთ, რომ ტფილისის გუბერნია დაყოფილია სამ რაიონად სამოსწავლო საქმეების განსაგებად. სახალხო სკოლები ჩაბარებული აქვს სამს „რაიონის“ ინსპექტორს, ისე რომ მთელი კახეთი ვიდრე ხევსურეთის მთამდის ეკუთვნის ბ-ნ ლედენცოვს, ქართლი — ბ-ნ პერევოზნიკოვს და მესხეთი და ზემო-ქართლი — ბ-ნ სოროკინს. ამ ინსპექტორებში არც ერთი არ ურევია მცოდნე ქართულის ენისა. ასეთივე ამბავია მთელ დასავლეთ საქართველოში, აქაც რაიონის ინსპექტორები სულ არა ქართველები არიან. სახალხო სკოლების დირექტორები რომ არა ქართველები არიან, კიდევ არაფერი, თუმცა ესეც უკუღმართობაა, ხოლო ინსპექტორების არა ქართველობა ჩვენი სასაცილოდ აგდებაა. აკი გამოაცხადეს, რომ სახალხო სკოლებში სწავლა უნდა სწარმოებდეს ქართულად და გამგეებიც ქართველები უნდა იყვნენო. სახალხო ინსპექტორმა, რომელმაც არ იცის ქართული, მაგალითად, როგორც დასახელებულ პირებმა, რა უნდა გააკეთონ, ხომ ისევ ისე წინანდებურად უნდა აძახებინონ ბავშვებს სკოლებში „ჟილ-ბილ უბაბუშკი სერენკი კაზლიკ“-ო. მაშ რაღას მაქნისი იქნებიან ჩვენი სკოლები ან რის მაქნისები იქნებიან ჩვენი მასწავლებლები? მაშ ხალხი რისთვის იყულიფება და იხრჩობა, რისთვის იხდის სკოლის ხარჯსა, თუ ჩვენ ენაზედ ვერ ვისწავლით?

საჭიროა სოფლის სკოლების მასწავლებლებმა მოიყარონ თავი, მოილაპარაკონ სკოლებზე, ერთხმად გადასწყვიტონ, რომ რაიონების ინსპექტორებად ქართველი პედაგოგები დანიშნონ, და ლედენცოვები, პერევოზნიკოვები და სოროკინები რუსების რაიონებში გადაიყვანონ. ვინც თანახმანი ხართ, პასუხი მოგვეცით ან „ცნ. ფურცელში“ ან „პატარა გაზეთში“.

თქვენ კი გთხოვთ, ბატონო რედაქტორო, ამ ჩემს გულისწყრომას და სკოლის განცადებას ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში.

სოფლის სკოლის მასწავლებელი

დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
6 მარტი

სარატოვი. პირველ მარტის ტირაჟში 65,000 მან. მოიგო პროკურორის ამხანაგმა ბოგდანოვმა.

ტოკიო. ფორმოზიდან მოსული დეპეშები იუწყებიან, მიწის-ძვრამ სულ ერთიანად გაანადგურა ქალაქები დატშე, რაიშიკო და შინკო. მოკლულ-დაჭრილთა რიცხვი 7000 კაცია. ზარალი 9 მილიონი გირვანქა სტერლინგი იქნება.

ლანსი. ჩრდილოეთისა და პა-დე-კალეს დეპარტამენტების ნახშირის მაღაროებში მომუშავეებმა დაადგინეს განაგრძონ საერთო გაფიცვა, გაიფიცა აგრეთვე ლუარის ბასეინის სალითონო ქარხნების რამდენიმე ასი მუშა.

მილანი. კუნძულ უსტიკაზე ძლიერი მიწის-ძვრა მოხდა.—მეფეს არზა მიართვა კაბინეტმა სამსახურიდან გასვლის შესახებ.

ყაზანი. უნივერსიტეტის რექტორად აირჩიეს ზაგორსკინი.

ვარშავა. სამხედრო-საოლქო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა მუშებს ორინსა და ბაროშევიჩს, რომელთაც შეიარაღებული დაცემა ედებოდათ ბრალად დიუბლინში მდგომ კაზაკთა პატრულზე.

ბელოსტოკი. ვოკზალზე შეიპყრეს ახალგაზდა უმაწვილი კაცი, რომელსაც პროკლამაციებით გატენილი ყუთი აღმოაჩნდა.

პეტერბურგი. „განათლების ლიგ“-ის დამფუძნებელ კრების გაგრძელება 12 მარტისათვისაა დანიშნული ტენიშევის სასწავლებლის დარბაზში, სადაც 24 წევრი უნდა აირჩიონ. ამ კრებაზე ჰპატიჟებენ დიდის პროვინციელ წევრებს.

პეტერბურგი. დღეს სამოსამართლო პალატამ გაარჩია წოდებათა წარმომადგენლების თანადასწრებით 5 საქმე ი. კ. ნოტოვიჩისა, რომელსაც ბრალსა სდებდნენ სისხლის სამართლის დებულების მე-103 და 129 მუხლ. ძალით. მე-103 მუხლის ბრალდებისაგან გამართლებულ იქნა ნოტოვიჩი შესახებ ბებელის სიტყვის მოთავსებისა „ნოვოსტ“-ში, ბრალი დასდო მხოლოდ პროვინციიდან სხვა და სხვა კორესპოდენციებისა, კავშირთა კავშირისა და მუსულმანთა კრებისა, რეზოლიუციისა და ორ მეთაურ წერილების „არმია და ხალხი“-ს და „ტერორ“-ის დასტამბისთვის და ერთის წლის ციხე მიუსაჯა მას, აუკრძალა რა გაზეთის გამოცემა სამუდამოდ.

რიგა. ულბროკის ვოლოსტის სამმართველოში შეიჭრა რამდენიმე შეიარაღებული კაცი, მოჰკლეს ურიადნიკი ბიქსე და მძიმედ დასჭრეს მწერალი ტრეი.

ბელოსტოკი. გაიფიცნენ სტამბის ყველა მუშები და ამხანაგების გამოშვებას ითხოვენ.

ჰელსინგფორსი. სენატმა დაადგინა, 1 აპრილიდან დაითხოვოს რუსულ ენის თარჯიმნები და გადამწერალი ქალები, რომელნიც სენატის ექსპედიციაში მსახურებენ.

კურსკი სამხედრო სასამართლომ შეუდგა სადგურ კურსკზე გასულ-გამოსულ წლის 7 ივნისს აფიცერ მახაჯოშოვის ხალხის მიერ ჩაქოლვისა და ადმინისტრაციისა და ადგილობრივ ჯარის ამ შემთხვევაში უმოქმედობის საქმის გარჩევას. სხდომები ღიაა ხალხისთვის.

ნოვოჩერკასკი. ძლიერ გახშირდა რევოლვერებით შეიარაღებული ხალხის თავდასხმა.

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.
6 მარტი

კრონშტადტი. გაათავეს ყველა მოწმეთათვის ჩვენების ჩამორთმევა მატროსების არეულობის შესახებ. ხვალ გათავდება სასამართლოს გამოძიება.

გროდნო. ბელსკის მაზრის ვოლოსტების რწმუნებულთ ამომრჩევლებად აირჩიეს ეკკლესიის მნათე, ვოლოსტის მამასახლისი და ორი გლეხი. ვოლკოვისკის მაზრიდან აირჩიეს ვოლოსტის მამასახლისი, ვოლოსტის მსაჯული და სამი გლეხი. სოკოლსკიდან რწმუნებულებად აირჩიეს ვოლოსტის მსაჯული, ხარკის ამკრეფი და სამი გლეხი.

პეტერბურგი. „რუს“-ი გადმოგვცემს საერო განათლების მინისტრთან ნამუსაიფევს. მინისტრს უთქვამს, საყოველთაო სწავლების პროექტი თავდება და ჩქარა იქნება შეტანილი მინისტრთა საბჭოში. პროექტის განხორციელებას 245 მილიონი მანეთი მოუნდება. სახალხო მასწავლებლებს უსათუოდ უნდა მოუმატოსთ ჯამაგირი, რომელიც, სულ რომ ცოტა ვიქვათ, 30 მან. ნაკლები არ იქნება. საზოგადოებას ფართო თავისუფლება მიენიჭება სკოლის საქმეში. არა-რუსთა კერძო სკოლებში სწავლება უნდა სწარმოებდეს მცხოვრებთა უმეტესობის ადგილობრივ ენაზე. უფლების შეძენა კი შეიძლება რუსულ ენაში ეგზამენის დაჭერის შემდეგ.

პეტერბურგი. 7 მარტს ადესისაკენ გამო წამოვიდა ვლადივოსტოკიდან ჯარის კაცთა უკანასკნელის პარტიის დატვირთული.—ხარკოვში რწმუნებულებად ყველა გლეხები აირჩიეს; სუმში გამოცხადდა 200 წვრილი მემამულე, აირჩიეს ერთი მღვდელი, საერობო უფროსი და 3 აზნაური. ოპოჩკაში დაესწრო 775 კაცი. აირჩიეს 3 მღვდელი, ერთი მასწავლებელი. ვოლოსტის მამასახლისი და 36 გლეხი. ორიოლში გამოცხადდა 37, აირჩიეს ორი მღვდელი და 3 გლეხი. რიაზანში გამოცხადდა 29 კაცი, აირჩიეს 5 მღვდელი, ერთი ნაფიცი ვექილი და ვოლოსტის მამასახლისი. ოდოევში გამოცხადდა 95 კაცი, აირჩიეს რწმუნებულებად 12 მღვდელი. პრონსკში გამოცხადდა 10, არჩევნები არ მოხდა. კუპიანსკში 60 გამოცხადდა, აირჩიეს 10 გლეხი, 41 აზნაური, ერთი „მეშჩანი“ რუზაში აირჩიეს 7 გლეხი, 3 ექიმი ერთი „მეშჩანი“, 1 მასწავლებელი, 1 აზნაური, 5 ვაჭარი და 6 გლეხი. ბელოსტოკში აირჩიეს 3 ქსენძი და 14 გლეხი.

მოსკოვი. გუბერნიის 10 მაზრაში აირჩიეს გლეხები, „მეშჩანები“ და მღვდლები 60, ვაჭრები და საპატიო მოქალაქენი 20, „ჩინოვნიკები“ 8, 4 ექიმი, 3 პროფესორი, 2 მასწავლებელი, 2 ნაფიცი ვექილი, 1 აზნაური, 1 მომრიგებელი მოსამართლე, 1 კერძო ვექილი და ერთი დონის კაზაკი.

სევასტოპოლი. ოჩაკოვიდან დაბრუნდა ტრანსპორტი „პრუტ“-ი, რომლითაც ოჩაკოვის პროცესის გამო დასამართლებულები მოიყვანეს გარდა შმიდტისა და სამის მატროსისა, რომელნიც დახვრიტეს უკვე.

სლონიმი. ქალაქიდან ამომრჩევლად აირჩიეს ორი სოციალ-დემოკრატი, ერთი დამოუკიდებელი ნაფიცი ვექილი და ექიმი—კათოლიკე.

კრომი. ვოლოსტებმა რწმუნებულებად აირჩიეს ორი მამასახლისი და ორიც გლეხი

პუტივლი. ვოლოსტებმა რწმუნებულებად აირჩიეს მსაჯული, სოფლის მწერალი და 24 გლეხი.

ვენევი. ვოლოსტებმა აირჩიეს სამი გლეხი წვრილ მიწათ-მფლობელთ—10 მღვდელი.

სარატოვი. ქალაქის ახლო-მახლო მიწათ-მფლობელთ აირჩიეს 10 გლეხი, ნაფიცი ვექილი და ინსპექტორი მეურნეობისა.

დონის როსტოვი. სახელმწიფო საბჭოში ამომრჩევლებად აირჩიეს ორი პროგრესისტი.

ბახმუტი. იუზოვისა და დებალცევის მადნებისა და ქარხნებზე სრულის წესით ჩაიარა არჩევნებმა. აირჩიეს ყველა რაც საჭირო იყო.

პეტერბურგი. გზათა მინისტრმა განმარტა, საარჩევნო კანონი ნებას არ აძლევს ლიანდაგებზე მოსამსახურეთ სამსახურს თავი გაანებონ და არჩევნებში მიიღონ მონაწილეობა. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ხსენებულმა პირებმა, სამსახურიდან რომ თავისუფალი იქნებიან, მაშინ უნდა განახორციელონ.

პარიზი, „ტან“-ის ცნობებით, გრაფ კასინის დეპეშა მოსვლია ალხეზირასიდან, რომელშიაც გადაჭრითაა დარღვეული ის ხმები, ვითომც რუსეთს რჩევა მიეცეს საფრანგეთისთვის მიეღო ავსტრიის პროექტი მაროკოს პოლიციისა და ვითომც რუსეთს შესაძლოდ მიაჩნდეს. რომ საფრანგეთმა თანხმობა განაცხადოს მესამე სახელმწიფოს მიერ კასაბლანკაში პოლიციის შემოღებაზე. ამ დეპეშაში ნათქვამია, რომ რუსეთი მხოლოდ და მხოლოდ მოკავშირე იყო და არის საფრანგეთისა და მუდამ საზღვრებში მოქმედებდა.

თემირ-ხან-შურა. საღამოს 7 საათზე სუსტი მიწისძვრა მოხდა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.

ეკატერინოსლავი. ალექსანდროვსკი მაზრაში წვრილ მემამულეთა კრებაზე აირჩიეს 58 გლეხი, 14 მღვდელი, 10 გერმანელი, 8 აზნაური, 3 ებრაელი, 3 ვაჭარი, 3 საპატიო მოქალაქე, 2 საერობო უფროსი, ერთი მასწავლებელი და ერთიც მამასახლისი.

პეტერბურგი. ოფიციალური. მინისტრთა საბჭომ ის აზრი გამოსთქვა, რომ ქალაქზე გადასახადის შემოღება იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ მეტი გზა აღარ დარჩება სახელმწიფო ბიუჯეტის მოსაგვარებლად.

პეტერბურგი. შესახებ გაზეთების ცნობებისა, ვითომც შინაგან საქმეთა მინისტრს უბრძანებინოს რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოების დეპეშების ცენზურისათვის, არ გაუშვას ისეთი დეპეშები, რომელნიც არჩევნებს არ გამოაცხადებენ ან არჩევნების ცუდათ ჩატარებას იუწყებიან, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ეს ცნობა ტყუილია და გამოგონილი, ჯერ ერთი, მარტო იმიტომ, რომ პეტერბურგის სააგენტოს დეპეშებს ცენზორი არა ჰყავს.—გაზეთ „რეჩ“-მა აცნობა, ვითომც სახელმწიფო საბჭოში სჯა-ბაასი ყოფილიყოს სიკვდილით დასჯის გაუქმებაზე. „რუს გოსუდარსტვო“ ამბობს, რომ ამ საკითხზე ლაპარაკიც არ ყოფილა.

პრონსკი. აირჩიეს მღვდელი, აზნაური, ერთი ვაჭარი, ორი გლეხი, ერთი „17 ოქტომბრის კავშირის წევრი, 5 „ოტეჩესტვენნიკი“—კონსერვატორი, უმაღლეს სწავლა მიღებული, 1 საშუალო და 1 დაბალ სასწავლებელ-გათავებულები.

სამარა. „კურიერ“-ის ცნობით ჩერკასში დაატუსაღეს რწმუნებულად არჩეული გლეხი ზუბკოვი.

სიზრანი. სახელმწიფო საბჭოში ამომრჩევლებად აირჩიეს 8 კაცი, მათში ორი პროგრესისტია.

კოზმოდემიანსკი. ვოლოსტების რწმუნებულებად აირჩიეს საერობო გამგეობის წევრი, საერობო ხმოსანი, მამასახლისი, ვოლოსტის მსაჯული, 2 ტყის მრეწველი, 16 გლეხი, ერთი „წევრი მეფისა და ხალხის პარტიისა“, ერთი „17 ოქტომბრის კავშირის“ წევრი, დანარჩენები პარტიის გარეშე მდგომნი არიან.

კოროჩი. რწმუნებულებად აირჩიეს 2 საერობო უფროსი, ერთი წევრი გამგეობისა, ორი მღვდელი, 5 გლეხი. ყველა უკიდურესი მემარჯვენეა.

ტულა. აირჩიეს 2 გლეხი, 2 მღვდელი, ერთი აზნაური. საპატრონე ქარხნის 7000 მუშამ უარი სთქვა არჩევნებზე. თოფის ქარხანაში 7 რწმუნებული აირჩიეს.

ეკატერინოსლავი. რკინის გზის სახელოსნოებმა, ბრიანსკის სამანქანე ქარხანამ და გორლოვის მადნებმა უარი სთქვეს არჩევნებზე.

უსტიკა (იტალია). გემები მოვიდა მცხოვრებლებისა და ტუსაღების წასაყვანად, თუ საჭირო იქნება. მცხოვრებლები ცის ქვეშ არიან, ისმის ძლიერი გუგუნი ქვესკნელიდან.

მოსკოვი. ამბობენ, რომ პოლიციამ მიაგნო იმ ქურდების კვალს, რომელთაც გუშინ გაძარცვეს საკრედიტო საზოგადოება. როგორც ფიქრობენ, მძარცველებს რევოლიუციონერებთან საერთო არა აქვთ რა.

პეტერბურგი, 8 მარტი. ოფიციალური. სახელმწიფო საბჭომ 8 მარტს განიხილა იუსტიციის მინისტრის აზრი შესახებ იმისა, თუ როგორი ზომებია საჭირო სისხლის სამართლით გასარჩევ საქმეების, რაც შეიძლება, ჩქარა საწარმოებლად აუცილებლად საჭიროდ იქმნა აღიარებული შემცირდეს კომპეტენცია სამოსამართლო პალატისა იმ შემთხვევაში, როცა საქმე წოდებათა წარმომადგენლების თანადასწრებით ირჩევა. ზოგიერთს ისეთს საქმეს, რომელიც სამოსამართლო პალატას უნდა განეხილა, ოლქის სასამართლოს გადასცემენ. ოლქის სასამართლოვე გაარჩევს საქმეებს საიმპერატორო სასახლის წევრთა შეურაცხყოფისას, როცა ასეთ შეურაცხყოფილთა თვალწინ არაა ჩადენილი, ოლქის სასამართლოებს შეუმსუბუქდება საქმეები. საჭიროდ იქმნა ცნობილი ზოგიერთი საქმეები მას ჩამოართვან და გადასცენ მომრიგებელ მოსამართლეთ, სადაც ესენი არ არიან, იქ—სამაზრო წევრთ ოლქის სასამართლოისას. საჭიროდ იქმნა აგრეთვე აღიარებული გაამარტივონ სამოსამართლო პალატაში წოდებათა წარმომადგენლების მიერ სახელმწიფო დანაშაულის საქმეების განხილვის წესრიგი. რაც იმ ღონისძიებათ შეეხება რომელთაც დროებითის ზომის ხასიათი ექნებათ, ამათგან უმთავრესი იმაში მდგომარეობს, რომ მასობრივ არეულობისა და „პოგრომების“ საქმე განსახილველად მიეცემა ოლქის სასამართლოს განსაკუთრებულს კრებულს, შემდგარს წოდებათა წარმომადგენლებისაგან.

რაც ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით ჩადენილ სახელმწიფო საქმეების გარჩევას შეეხება ასეთ საქმეებში იხმარებენ მე 545 მუხ., რომლის თანახმად საქმეების გარჩევას შეიძლება შეუდგნენ წინასწარ გამოუძიებლად, თუ პროკურორი და სასამართლო არ დაინახავს ამას საჭიროდ შეიძლება შემოკლებულ იქნას ზოგიერთი პროცესსიალური ვადა, როგორც მაგალითად: მოწმეების გამოწვევა დამატებით ჩვენების ჩამორთმევად, ვადა ექსპერტების გამოწვევის, ვადა რომლის განმავლობაში სასამართლოს უნდა ეუწყოს, რომ ბრალდებულებმა უკვე აირჩიეს დამცველები, შუამდგომლობა მცირეწლოვან დამნაშავეთა მშობლების შესახებ წინასწარ გამოძიების შევსებისა. სასამართლოს ნება ექნებათ ძალაში შეიყვანონ შვიდი დღის ვადა, თუ იგი საჭიროდ დაინახავს მას. ყველა ეს მოსაზრებანი საერთოდ მოიწონა სახელმწიფო საბჭომ.—საერო განათლების სამინისტროს განკარგულებით მეცნიერებათა აკადემიამ და ყველა უნივერსიტეტებმა აირჩიონ ამომრჩევლები 20 მარტს, რომელნიც პეტერბურგში მოიყრიან თავს და თავიანთ წრიდან 6 წევრი აირჩიონ სახელმწიფო საბჭოში.

მოგებათა ტირაჟი.

1 მარტს მეორე შინაგან სესხის ტირაჟისას 500 მანეთის მოგება ხვდა შემდეგ ბილეთებს.

№№ სერ.	№№ ბილ.	№№ სერ.	№№ ბილ.	№№ სერ.	№№ ბილ.	№№ სერ.	№№ ბილ.
6828	48	5628	14	5214	3	13521	4
588	21	17193	9	16185	11	9738	14
8141	13	7923	27	4524	16	8590	23
6192	30	3892	5	4485	12	17234	49
2136	7	9580	15	5864	31	15951	50
9897	30	3658	21	12144	15	343	13
9972	48	33647	44	9030	16	12661	30
4813	1	3010	30	3106	14	3473	44
14579	39	4897	43	7664	28	19970	40
17329	23	2753	50	17698	39	1926	32
18886	36	15920	47	11236	39	7725	14
5980	36	7066	35	16696	4	18265	16
8951	22	12036	38	11160	8	7500	3
15848	9	4246	15	9993	31	512	7
11951	5	10200	44	12325	9	2151	13
6340	50	16043	26	11042	11	1926	9
18008	26	9103	34	11596	3	5727	22
11440	26	8409	9	8167	38	8462	12
18942	5	16104	11	15046	50	18970	49
1028	37	9070	8	5930	20	5098	25
14700	26	1393	16	13282	13	11937	20
335	41	7852	48	4502	32	14977	34
3405	49	18123	8	14360	40	8574	12
16277	49	11765	41	12698	18	8226	37
3401	37	797	7	3072	37	10795	13
18219	48	6774	6	1703	31	14433	50
14883	40	7352	43	2363	19	16687	33
5916	15	12231	34	3086	37	518	10
11143	15	5568	50	13534	37	7867	44
9835	41	8269	32	13248	6	18752	22
11794	43	16558	2	12952	9	555	15
15221	41	13895	4	328	29	8371	42
5664	39	19315	15	19407	15	19836	6
4304	50	2236	1	16061	15	11402	6
17030	31	11752	44	1984	35	14152	40
8011	29	10078	21	11785	34	15038	11
14317	24	6048	29	9508	14	16865	36
18743	43	6016	1	9150	38	9118	47
18294	35	14100	50	8851	21	14332	10
7761	29	4280	13	14976	37	4008	2
5722	21	14977	47	15121	46	10116	33
11617	10	18182	21	10959	45	3291	45
17874	49	7658	31	6180	5	6073	46
4623	48	9476	18	7135	34	5642	37
10781	23	15597	29	6811	41	14962	32
2690	4	8092	9	18298	16	9638	29
17707	21	14692	32	18888	5	15871	37
9076	13	11643	7	10157	17	10936	46
9533	20	38702	25	10585	10	9917	25
16217	42	3224	28	17703	6	5378	[illegible]
19375	42	12041	17	[illegible]	35	1960	[illegible]
8201	24	2322	29	4965	40	[illegible]	[illegible]
17448	43	17282	49	12499	3	[illegible]	[illegible]
8305	7	6517	32	17000	43	[illegible]	15
14398	28	13098	31	6186	32	19743	47
7667	21	16488	13	2290	43	17075	24
34826	46	12888	19	7454	26	[illegible]	15
12847	3	16178	26	4522	16	10840	45
9837	8	7923	36	6876	22	8230	38
11641	14	4286	5	16265	27	6362	16
18239	36	15842	24	14479	2	1322	29
3774	24	5261	49	19920	18	4128	58
7591	41	303	41	13340	22	6598	20
1216	3	10763	25	17544	26	4994	36
19978	3	16932	34	526	2	4525	25

გაბათილებული ბილეთები

16, 8211, 18172, 6386, 19819, 16329, 12993, 19402, 8612, 17831, 17382, 7868, 11484, 10056, 14059, 10353, 6393, 1906, 19191, 11416, 14866, 6065, 3714, 9412, 19961, 12380, 16722, 11825, 1793, 8634, 10249, 1322, 832, 17136, 6469, 6478, 12420, 13123, 12663, 18895, 7856, 13512, 15793, 13369, 10262, 15172, 3896, 13178, 1236, 4163, 4953, 15855, 19743, 1419, 12784, 7094, [illegible], 9244, 762, 7470, 14167, 1434, 4986, 12299, 665, 3825, 9938, 15814, 10409, 10292, 2264, 4582, 1045, 11263, 2706, 16906, 14898, 16608, 8278, 7676, 17963, 8957, 3294, 2288, 17369, 19527, 2132, 14225, 17274, 18385, 13305, 4720, 2599, 8554, 1614, 13112, 14057, 2409, 17331, 15951, 16942, 19646, 17282, 8130, 12613, 16067, 11413, 9293, 11153, 3331, 9993, 10731, 564, 14710, 1519, 10960, 13713, 6081, 15665, 10714, 5571, 19216, 3812, 1877, 19036, [illegible], 7475, 6067, 446, 2236, 1774, 11673, 6459, 16274, 607, 2530, [illegible], 6483, 6939, 15593, 9054, 4400, 17750, 8083, 7431, 2356, 2436, 7921, 4245, 1920, 6193, 11273, 1052, 13785, 17559, 19888, 13113, 7898, [illegible], 6507, 3546, 13072, 4265, 4518, 1015, 12623, 18479, 5854, 7270, 19564, 8867, 17097, 18777, 10396, 12905, 19368.

პეტერბურგის ბირჟა 7 მარტი 1906

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,10
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	95,00
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,80
ბირჟის დისკონტი	5¼—7½%
4% სახელმწიფო რენტა	78⅞
4% სახელმწ. სესხი 1903 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	72½
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	364½
5% მე-2 შინ. სეს. მომ. ბილ. 1866 წ.	295
5% გირ. მომ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბან.	247
5% ობლ. ტფილ. საკრედ. საზოგად.	—
4½% ობლიგ. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრედ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირვ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურც. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ს. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	168

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ბ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო. მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში. უფასო ქალაქის ღამის თავ-შესაფარი სახლები:

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი.

ავლაბარსა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო. ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის. უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 2 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

იხსნება 10 მარტიდან გოლოვინის პროსპექტზე, ცირკის გვერდით, ახალი სასტუმრო „პურ-მარილი“, სადაც შეიძლება შოვნა ყოველ-ნაირ სასმელ-საჭმლისა, ქართულ და ევროპიულ გემოვნებაზე, იქვე არის ბილლიარდი და აუზი თევზებით. სამი ბლუდი სადილი ღირს—50 კაპ. და იაფათაც.

პატივისცემით **იოსებ მუსარიძე** (6—2)

ხეხილის ნერგები

საუკეთესო ჯიშის, სახლვარ-გარეთისა და ადგილობრივი, ისყიდება ზომიერ ფასებში

ფ. ავსარქისოვის

მამულში. კატალოგი ეგზავნება მსურველთ უფასოდ. ადრესი: კავკასიის რკინის გზის სადგური სკრა ფ. ავსარქისოვს. (10—9)

დაიკარგა ბავშვი

დაბადებიდან 9 წლისა, აცვია სერი პალტო და ამფერივე ქუდი, მაუდის ფეხსაცმელი და ზედ კალოშები, მრგვალი პირისახე აქვს, სახელი **პეტია** და თუ სადმე აღმოჩნდეს ეს ბავშვი გთხოვთ გვაცნობოთ ამ ადრესით— Кутаисъ, Губернская типографія, С. Ф. Луневу. (2—1)

გამგეობა გამასწორებელ ახალშენებისა და თავშესაფარების კავკასიის საზოგადოებისა სთხოვს ბ-ნ წევრებს მობრძანდნენ ტფილისის სამოსამართლო პალატაში კვირას, 19 მარტს 1906 წელს, 1 საათზე, საზოგადო კრებაში მონაწილეობის მისაღებად.

განსახილველი საგნები:

1. ანგარიში გამგეობის მოქმედებისა 1905 წელს.
2. ფულის ანგარიში საზოგადოებისა 1905 წელს.
3. შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა 1906 წელს.
4. სარევიზიო კომისიის მოხსენება 1905 წლის ანგარიშისა და 1906 წლის აღრიცხვის გამო.
5. არჩევნები გამგეობის ოთხის წევრისა და სარევიზიო კომისიისა.
6. გამგეობის მოხსენება ახალშენის დირექტორის დამტკიცების შესახებ.

შენიშვნა. საზოგადო კრება კანონიერად ჩაითვლება, თუ 20 წევრზე ნაკლები არ მიიღებს მონაწილეობას (წესდების მე 17 §). (3—უ.—3)

[illegible]-მბეჭდავი „წიგნების გამოც. ქართვ. ამხ.“-სა. [illegible] ქუჩ. ტელეფონი № 372